# შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№39-40 (10.145)

2—9 ნოემბერი, 2024 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


# საპარლამენტო არჩევნები — 2024

## საქართველო




### საქართველო

**№41 – ქართული ოცნება _ 1 119 946 ხმა – 53,92%**
**№4 – კოალიცია ცვლილებებისთვის – 229 152 ხმა – 11,03%**
**№5 – ერთიანობა – ნაცმოძრაობა – 211 208 ხმა – 10,17%**
**№9 – ძლიერი საქართველო _ 182 914 ხმა – 8,80%**
**№25 – გახარია საქართველოსთვის – 161 500 ხმა – 7,77%**

ბარიერი ვერ გადალახეს

**№36 – გირჩი _ 62 309 ხმა – 3,00%**
**№8 – პატრიოტთა ალიანსი _ 50 593 ხმა – 2,43%**

ე.წ. ნამდვილი ხმების მიხედვით, 148 მანდატი განაწილდა, 2 გადაუნაწილებელი მანდატი კი საუკეთესო შედეგის მქონე „ქართულმა ოცნებამ“ და კოალიციამ „ცვლილებისთვის“ გაიყო.

**150 დეპუტატიდან ქართულ ოცნებას – 89; კოალიცია ცვლილებებისთვის – 19; ერთიანობა – ნაციონალურ მოძრაობას – 16; ძლიერ საქართველოს – 14; გახარია საქართველოსთვის – 12 დეპუტატი.**

3 111 საარჩევნო უბნიდან 3 110 უბანი დათვლილია. გაუქმდა მარნეულის საარჩევნო ოლქში არსებული ერთი საარჩევნო უბანი.

## დედოფლისწყარო

**ქართული ოცნება**
**8 338 ხმა – 66,31%**

**ერთიანობა – ნაციონალური მოძრაობა**
**1 244 ხმა – 9,89%**

**ძლიერი საქართველო**
**1006 ხმა – 8.001%**

**კოალიცია ცვლილებებისთვის**
**682 ხმა – 5.42%**

**გახარია საქართველოსთვის**
**475 ხმა – 3,77%**

**პატრიოტთა ალიანსი, ალტ-ინფო**
**354 ხმა – 2.81%**

**გირჩი**
**210 ხმა – 1.67%**

**ლეიბორისტები**
**69 ხმა – 0.54%**

***2024 წლის საპარლამენტო არჩევნები დასრულდა, მაგრამ ოპოზიცია, რომელმაც 5%-იანი ბარიერი გადალახა, არჩევნების შედეგებით უკმაყოფილოა და პარლამენტში შესვლას არ აპირებს. დედოფლისწყაროში საარჩევნო პროცესის შეფასება ვთხოვეთ ოპოზიციური პარტიების წარმომდგენლებს.***

**ლევან ბაღაშვილი,** ***პარტია „ერთიანობა, ნაციონალური მოძრაობა“ დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე:*** „დაშინება, შანტაჟი, მოსყიდვა, ფარულობის ღია დარღვევა-ეს იმ დარღვევების არასრული ჩამონათვალია, რომლებსაც დედოფლისწყაროში კენჭისყრის დღეს ჰქონდა ადგილი. ჩვენს მუნიციპალიტეტშიც იგივე ხდებოდა, რაც მთელი ქვეყნის მასშტაბით. ეს არჩევნები ლეგიტიმურად ვერ ჩაითვლება ტოტალური შანტაჟისა და გაყალბების გამო“.

**ლევან ჯამალაშვილი,** ***„კოალიცია ცვლილებებისთვის“ დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე:*** „არჩევნები მარტო კენჭისყრის დღე არ არის. დავიწყოთ იქიდან, რომ წინასაარჩევნო პერიოდი გამოირჩეოდა დაშინების მცდელობებით. დედოფლისწყაროში ჩვენი ოფისის ბანერი ჯერ საღებავით დასვარეს, შემდეგ კი ჩამოხსნეს და მოიპარეს. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ფაქტის გამო მივმართე პოლიციას, საქმე კვლავ გამოუძიებელია. რაც შეეხება კენჭისყრის დღეს, ფარულობა იყო დარღვეული, იყო მოსყიდვისა და დაშინების მცდელობები. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ დაინიშნოს ხელახალი არჩევნები და მოსახლეობას მიეცეს საშუალება, კონკურენტულ და თავისუფალ გარემოში მიიღონ მათთვის სასურველი გადაწყვეტილება.“

ოპოზიციის ბრალდებებს არ იზიარებენ მმართველ პარტიაში და აცხადებენ, რომ გაკოტრებული ოპოზიცია ტყუილებისა და ცრუ ბრალდებების ტირაჟირებას ახდენს და ამით ცდილობს არჩევნების შედეგებზე ზეგავლენის მოხდენას.

**ნიკოლოზ ჯანიაშვილი,** ***დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი:*** „ქართულმა ოცნებამ“ ღირსეულად გაიმარჯვა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მშვიდ და პარიტეტულ გარემოში ჩატარდა არჩევნები. ამაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ რაიმე მნიშვნელოვანი არც დარღვევა გამოვლენილა და არც განსაკუთრებული საჩივარი დაწერილა. მადლობა მინდა გადავუხადო დედოფლისწყაროს მოსახლეობას, რომელმაც კიდევ ერთხელ გამოგვიცხადა ნდობა. კარგია, როცა ხალხზე ზრუნვა ფასდება მოსახლეობის მხრიდან. ჩვენი გუნდი კვლავ მზადაა, გააგრძელოს ჩვენი მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა კეთილდღეობისთვის შრომა“.

**შეგახსენებთ, რომ 26 ოქტომბერს გამართულ საქართველოს პარლამენტის არჩევნებზე 5%-იანი ბარიერი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში გადალახა ოთხმა პარტიამ: „ქართული ოცნება“ – 66.31%, „ერთიანობა ნაციონალური მოძრაობა“ – 9.89%, „ძლიერი საქართველო“ – 8.001%, „კოალიცია ცვლილებებისთვის“ – 5.42%.**

***ინგა შიოლაშვილი***

## კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ხელმძღვანელობით მერებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა



**კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი ალადაშვილმა მუნიციპალიტეტების მერებთან მორიგი სამუშაო შეხვედრა გამართა.**

სამუშაო შეხვედრაზე შეაჯამეს განვლილი პერიოდი და დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები განიხილეს:

ინფრასტრუქტურის მიმართულებით რეგიონში არსებული ვითარება, დასრულებული და მიმდინარე პროექტები;

სოციალურ - ეკონომიური მიმართულებით არსებული საკითხები;

კულტურულ სფეროში დაგეგმილი ღონისძიებები, კერძოდ, მოახლოებული „ერეკლეობის“ (7 ნოემბერი - თელავის მუნიციპალიტეტი) და „ილიაობის“ (8 ნოემბერი - ყვარლის მუნიციპალიტეტი) დღესასწაულების აღნიშვნასთან დაკავშირებული საორგნიზაციო საკითხები.

***კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში გამართულ სამუშაო შეხვედრას სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები - პლატონ კალმახელიძე და ლევან ლილუაშვილი ესწრებოდნენ.***

## საარჩევნო ადმინისტრაცია ბიულეტენებთან დაკავშირებულ დეტალებს განმარტავს

***„ბიულეტენები დაიბეჭდა შესაბამისი წესით შერჩეულ სამ სტამბაში და ამ პროცესს აკვირდებოდნენ ცესკოს წევრები, ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები. ბეჭდვასთან დაკავშირებით ინფორმაცია იყო საჯარო“***,- ამის შესახებ განცხადებას ცენტრალური საარჩევნო კომისია ავრცელებს.

როგორც ცესკოს განცხადებაშია აღნიშნული, საარჩევნო ადმინისტრაციამ ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინა 190 გრამიანი ოფსეტური ქაღალდი, რომელიც უფრო სქელია, ვიდრე რეკომენდებული იყო ვენდორი კომპანიის მიერ.

„მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე გვინდა განვმარტოთ საარჩევნო ელექტრონული აპარატებისთვის განკუთვნილი ბიულეტენებისთვის ქაღალდის შეძენასა და ბეჭდვასთან დაკავშირებული დეტალები.

პირველ რიგში, გვინდა აღვნიშნოთ, რომ კანონმდებლობის შესაბამისად არამარტო ელექტრონული, არამედ ყველა არჩევნების ბიულეტენებისთვის ქაღალდს საარჩევნო ადმინისტრაცია ხელშეკრულების საფუძველზე ყიდულობს და აწვდის კონტრაქტორ სტამბებს. ამდენად აშკარაა, ტექნიკურ-ლოგისტიკური საკითხიც კი მანიპულაციურად არის წარმოჩენილი და საარჩევნო პროცესის დაზიანებას ისახავს მიზნად.

რაც შეეხება უშუალოდ 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის დამზადებულ ბიულეტენებს - საარჩევნო ადმინისტრაციას კომპანია „სმარტმატიკისგან“ ჰქონდა რეკომენდაცია საარჩევნო ელექტრონული აპარატებისთვის განკუთვნილი ბიულეტენებისთვის შეეძინა ოფსეტური, 162 გრამიანი (+-20%) ქაღალდი.

აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით, საარჩევნო ადმინისტრაციამ შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინა 190 გრამიანი ოფსეტური ქაღალდი, რომელიც უფრო სქელია, ვიდრე რეკომენდებული იყო ვენდორი კომპანიის მიერ.

**ამასთან, აღსანიშნავია, რომ 26 ოქტომბერს გამოყენებული ბიულეტენების ქაღალდის სისქე მეტია 2021 წლის არჩევნებზე კრწანისის ოლქში გამოყენებულ ბიულეტენებთან შედარებითაც“**, - ნათქვამია განცხადებაში.

## საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავალმა ახალ რეკორდულ ნიშნულს მიაღწია

***ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ცნობით, საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავალმა ახალ რეკორდულ ნიშნულს მიაღწია.***

მათივე ინფორმაციით, 2024 წლის იანვარი-სექტემბრის პერიოდში, საერთაშორისო მოგზაურობიდან (ტურიზმიდან) მიღებულმა შემოსავლებმა $3.5 მილიარდი შეადგინა, რაც 2023 წლის ანალოგიურ პერიოდს +6.5%-ით (210 მლნ. აშშ. დოლარით) აჭარბებს.

„2024 წლის მე-3 კვარტალში, მოგზაურობიდან (ტურიზმიდან) მიღებულმა შემოსავლებმა კვარტალურ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია და $1.6 მილიარდი შეადგინა. ამასთან, 2024 წელს ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 2023 წლის მონაცემებს +8%-ით (116 მლნ. აშშ. დოლარით) გადააჭარბა“, -აღნიშნულია ინფორმაციაში.

გარდა ამისა, 2024 წლის იანვარი-სექტემბრის პერიოდში, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები ევროკავშირის ქვეყნებიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ცნობით, დიდი ბრიტანეთიდან მიღებულმა შემოსავალმა 456 მილიონი დოლარი შეადგინა, ზრდა 2023 წელთან შედარებით + 6.7%-ით (29 მლნ. აშშ დოლარით) მეტია.

„2024 წლის 9 თვეში, რეკორდულად გაიზარდა შემოსავლები ისრაელიდან და 323 მილიონი დოლარი შეადგინა, ზრდა +24.9%-ით მეტია (64 მლნ. აშშ დოლარი), 2023 წლის მონაცემებთან შედარებით.

**2024 წლის 3 კვარტლის მონაცემებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა შემოსავლები საუდის არაბეთიდან და 108 მილიონ დოლარს მიაღწია, რაც რეკორდული მაჩვენებელია, ზრდა 2023 წლის მონაცემებთან შედარებით +21.7%-ით მეტია, (19 მლნ. აშშ დოლარი)“**, - ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

## სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია დაიწყო

***გრიპი არის სწრაფად გავრცელების უნარის მქონე დაავადება, მას იწვევს ვირუსის სხვადასხვა შტამები, რომლებსაც გააჩნია ყოველწლიურად ცვლილების უნარი. ამიტომ აუცილებელია ვაქცინაციის ყოველწლიურად გამეორება.***

გრიპით დაინფიცირების ყველაზე დიდი რისკი წარმოიშობა წლის ცივ თვეებში, ოქტომბრიდან მარტამდე. ამიტომ ექიმი გირჩევთ ამ პერიოდში ვაქცინაციას. ვაქცინა არის ინფლუვაკი ტეტრა. ეს საშუალება გიცავთ თქვენ ან თქვენს ბავშვს ვაქცინაში არსებული ვირუსის ოთხი შტამისაგან, დაწყებული ვაქცინაციიდან დაახლოებით 2-3 კვირის შემდეგ. ამ დროში ორგანიზმი გამოიმუშავებს დამცავ ნივთიერებას (ანტისხეულებს), რომლებიც მიმართულია გრიპის ვირუსის საწინააღმდეგოდ. ვაქცინა გეხმარებათ თქვენ ან თქვენს ბავშვს გრიპისაგან თავის დაცვაში, განსაკუთრებით გრიპის გართულებების განვითარების მომატებული რისკის არსებობისას.

2024-2025 წლების გრიპის სეზონისთვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრმა მიიღო დედოფლისწყაროს მოსახლეობისთვის საკმარისი რაოდენობის გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინა. ვაქცინა განაწილდება მუნიციპალიტეტის ყველას სამედიცინო ცენტრში. 2024 წლის 18 ოქტომბრიდან ვაქცინაციის მსურველებმა მიაკითხეთ ქ.დედოფლისწყაროს „რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრს (საავადმყოფო) ან თქვენთვის უახლოს ტერიტორაზე არსებულ ამბულატორიას. პირველ ეტაპზე (18.10.2024-04.11.2024 წელი) ვაქცინაცია ჩაუტარდება სეზონურ ვაქცინაციას დაქვემდებარებული რისკის და სპეციფიური პრიორიტეტულ ჯგუფებს:

*1) სპეციფიკური ქრონიკული დარღვევების მქონე:*

*ა) დიაბეტის მქონე პირები;*

*ბ) დიალიზზე მყოფი პირები;*

*გ)C ჰეპატიტის მქონე პირები (მხოლოდ მკურნალობაზე მყოფნი)*

*დ) აივ ინფექცია/შიდსის მქონე პირები;*

*ე) ორგანოგადანერგილი და მუკოვისციდოზის დაავადების მქონე პირები*

**2) სხვა პრიორიტეტული ჯგუფები:**

*ა) ბავშვთა (მ.შ. მცირე საოჯახო ტიპის) და მოხუცთა თავშესაფრების ბენეფიციარები და მათი მომვლელი პერსონალი;*

*ბ) ორსულები;*

*გ) 60 წლის და უფროსი ასაკის ხანდაზმული პირები;*

*დ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (სკოლები) პედაგოგები;*

**3) ჯანმრთელობის დაცვის პერსონალი:**

**4) ვეტერინარიასა და გარემოს დაცვის სფეროში მომუშავე პერსონალი**

**5) ადრეული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების თანამშრომლები;**

**6) თავდაცვის, უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სამსახურის თანამშრომლები**

**7) პენიტენციურ დაწესებულებაში მომუშავე პერსონალი; შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები**

**2024 წლის 4 ნოემბრიდან კი ქვეყნის მასშტაბით გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაციას დაექვემდებება საქართველოს მოქალაქეობის მქონე ნებისმიერი პირი 6 თვის ასაკიდან.**

## გამარჯვებებით სვლა მომავლისკენ!

***ა(ა)იპ „ახალგაზრდა ჩემპიონები“ ახალ პროექტს იწყებენ. პროექტის სახელწოდებაა „ჯანსაღი ცხოვრების წესი - გამარჯვებებით სვლა მომავლისკენ“.***

ახალგაზრდა სპორტსმენებმა მცირე გრანტების კონკურსში „რეგიონული ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა“ მიიღეს მონაწილეობა და გრანტიც მოიპოვეს.

„დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არსებობს ძალისმიერი სპორტის (სამჭიდის) და საბრძოლო ხელოვნებების რეგიონალური ფედერაცია, რომელიც დაარსდა 2008 წელს და აქტიურ მუშაობას ეწევა მუნიციპლიტეტის ახალგაზრდების სპორტული და ფიზიკური განვითარების მიმართულებით. ფედერაციის გუნდი, კლუბი „ლეგიონი“ და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სამჭიდელთა გუნდი აქტიურ მონაწილეობას იღებს საქართველოს პირველობებზე, საერთაშორისო ტურნირებზე, ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატებზე.

ფედერაციის და მუნიციპალიტეტის გუნდები გაწევრიანებულები არიან საქართველოს ეროვნულ ფედერაციებში,(ათლეტიზმის, კიკბოქსინგის და უშუ სანდის ფედერაციებში). ფედერაციას ჰყავს საქართველოს, ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონები. უნდა აღინიშნოს, რომ მოძველებული და ამორტიზებული ინვენტარის გამო, გუნდებს ტურნირებში მონაწილეობა უწევთ სხვა მუნიციპალიტეტებისგან ნათხოვარი ინვენტარით, რაც, დამატებით ხარჯებზე რომ არაფერი ვთქვათ, ტურნირისთვის ჯეროვნად მომზადებაშიც უშლით ხელს. არადა მუნიციპალიტეტში მოზარდ და ახალგაზრდა ძალოვანთა უდიდესი პოტენციალია, რომელსაც გამოყენება და სწორი მიმართულების მიცემა სჭირდება. პროექტის დაფინანსების შემთხვევაში მიღებული თანხა, მოხმარდება საჭირო ინვენტარის შეძენას, რაც მოგვცემს ტურნირების მონაწილეთა სათანადოდ მომზადებისა და საქართველოს, კახეთის და რაიონის პირველობისთვის გამართულ, შეჯიბრებების ჩატარების შესაძლებლობას, რითაც მოვიზიდოთ მეტ ახალგაზრდას და სპორტის ამ სახეობებს (ძალისმიერი სამჭიდი, კიკბოქსი, სანდა) მეტ განვითარებას და პოპულარობას შესძენს. ნაყიდი ინვენტარი დაეხმარება ახალგაზრდებს ადგილზე, კომფორტულად მოწყობილ სპორტულ სივრცეში ივარჯიშონ, ფიზიკურად განვითარდნენ და იცხოვრონ ჯანსაღი ცხოვრების წესით, ჩამოშორდნენ მავნე ჩვევებს (ნარკოტიკები, სასმელი და ნიკოტინი) და ქვეყანას მიეწოდოს კარგი რესურსი სპორტულიკაპიტალის დასაგროვებლად, შემდგომი წარმატებებისთვის.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად კი საჭიროა სათანადო სპორტული ინვენტარის (ოლიმპიური ბლინები და ღერძები, რამდენიმე სახის ტრენაჟორი, კიკბოქსინგის მსხალი) შეძენა და საჩვენებელი შეჯიბრის ჩატარება, რაც შემდგომში (პროექტის დასრულების შემდეგ) გაგრძელდება პერმანენტულად, მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის მონიტორინგის ქვეშ“ - აცხადებს მწვრთნელი **მიხეილ სეხნიაშვილი.**

**პროექტის ხელმძღვანელების მოტივაციაა, რომ დედოფლისწყაროს ახალგაზრდებში დაინერგოს ჯანსაღი ცხოვრების წესი და მოხდეს თინეიჯერების ფიზიკური განვითარება.**

# „ჩვენ ქვეყნის ჯარისკაცები ვართ და სადაც საჭიროა, იქიდან უნდა ვემსახუროთ ჩვენს სამშობლოს“

*დღეს ის საჯარო სამსახურში მუშაობს, აგზავნის და პასუხობს კორესპონდენციებს, როგორც ხშირად ამბობენ, აგვარებს ბევრ ფორმალობას, რაც დაუნახავი საქმეა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი* **მარინა შეითნიშვილი** *2012 წლიდან საჯარო მოხელეა, თუმცა, მანამდე მას მმაჩის ბიუროსა და სამოქალაქო რეესტრის ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობის დიდხნიანი გამოცდილება აქვს, მაგრამ სამუშაო გამოცდილება მისთვის არასოდესაა საკმარისი. როგორც თავად ამბობს, დღემდე იძენს ცოდნას და მუდმივად ვითარდება.*

-2012 წელს, როდესაც საჯარო სექტორში სამუშაოდ მოვედი, აღმოჩნდა, რომ ეს განსხვავებული სფერო იყო და არაფრით ჰგავდა ჩემს ადრინდელ სამსახურს. მანამდე შეხება არ მქონია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან. რა უნდა მექნა? ავიღე წიგნი და დავიწყე გაცნობა. დღისით ვმუშაობდი, სამსახურის შემდეგ კი კოდექსს დეტალურად ვსწავლობდი. ბავშვობიდან ასე ვარ, მიყვარს ახალი ცოდნის მიღება და სირთულეების დაძლევა.

***- რადგან თავადვე ახსენეთ, როგორი ბავშვობა გქონდათ და რა როლი ითამაშეს მშობლებმა თქვენი მომავალი ცხოვრების განსაზღვრაში?***

- დედაც და მამაც სკოლაში გამორჩეული მოსწავლეები ყოფილან და ყოველთვის გული სწყდებოდათ, განათლება რომ ვერ მიიღეს. სწავლის გაგრძელება მათ სამამულო ომის დაწყების გამო ვერ მოახერხეს. ამიტომ ყველაფერს აკეთებდნენ, რომ შვილებისთვის შესაბამისი პირობები შეექმნათ. დედა დიასახლისი იყო და მუდმივად ზრუნავდა ჩემზეც და ჩემს და-ძმაზეც. გაკვეთილების მომზადების პროცესშიც აქტიურად იყო ჩართული და გვეხმარებოდა. სხვათა შორის, დედაჩემის დამსახურებაა, რომ იურიდიული ფაკულტეტი დავამთავრე. სკოლაში სწავლისას მე ჩემი რეჟიმი მქონდა, გაკვეთილების მომზადების შემდეგ აუცილებლად მხატვრული ლიტერატურა უნდა წამეკითხა ან რომელიმე წიგნი ხელოვნებაზე. ბავშვობიდან პოლიტიკა და საგარეო ურთიერთობები მიზიდავდა, ამიტომ უცხო ენების განხრით ვაპირებდი სწავლის გაგრძელებას. მაშინ ამ ფაკულტეტზე დიდი კონკურსი იყო. არანაკლები იყო იურიდიულზეც, მაგრამ დედის რჩევა გავითვალისწინე, საბუთები შევიტანე, გამოცდები ჩავაბარე და იმავე წელს მოვხვდი. ბედნიერი ვიყავი, როდესაც დედა-უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი. ეს მაშინ მარტო დიდი ბედნიერება კი არ იყო, არამედ გარკვეული პასუხისმგებლობაც. ლექტორებიც სწორედ ამაზე აპელირებდნენ და მუდმივად გვახსენებდნენ, რომ უნივერსიტეტის სახელს უნდა გავფრთხილებოდით და მარტო ცოდნით კი არა, საქციელითაც გამორჩეულები უნდა ვყოფილიყავით.

***-ვის გაიხსენებდით თქვენი ლექტორებიდან?***

-ბედნიერი ადამიანი ვარ, რომ ისეთ პროფესორებთან მქონდა ურთიერთობა, როგორებიც იყვნენ სერგო ჯორბენაძე, მინდია უგრეხელიძე, ისიდორე დოლიძე, გივი ინწკირველი... რომელი ერთი ჩამოვთვალო. მაშინ უნივერსიტეტში მუშაობდა ხალხი, რომლებიც ივანე ჯავახიშვილის მოწაფეები იყვნენ, უყვარდათ სამშობლო, უნივერსიტეტი და საკუთარი პროფესია. ასე გვზრდიდნენ ჩვენც. მე უნივერსიტეტში სწავლის წლებმა მარტო იურისპრუდენცია კი არ მასწავლა, არამედ ცხოვრებაც, ინტელიგენტი ხალხის თვალით დანახული...

***- უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი მაშინ მშობლიურ რაიონს იშვიათად უბრუნდებოდა, რადგან სწავლას ასპირანტურაში აგრძელებდნენ ან დედაქალაქში იწყებდნენ მუშაობას...***

- გეთანხმებით, უნივერსიტეტი მაღალი რანგის პროფესიონალებს ამზადებდა, რომელთა დიდი ნაწილიც დიდ ქალაქებში იწყებდა მუშაობას. პირადად მე, უნივერსიტეტში, იურიდიული ფაკულტეტის კათედრაზე მინდოდა დარჩენა, მაგრამ მაშინ თბილისში ჩაწერის ინსტიტუტი მოქმედებდა, რომლის მოგვარებაც გარკვეული თანხის სანაცვლოდ იყო შესაძლებლებელი. ეს ამბავი მშობლებისთვის არც მითქვამს, ვიცოდი, მათ ამხელა თანხა არ ჰქონდათ. მერე უნივერსიტეტმა ჩემს რაიონში გამომგზავნა განაწილებით. 1986 წელს მუშაობა დავიწყე მმაჩის ბიუროში, ბევრი შეყვარებული წყვილი დავაქორწინეთ და ბევრი ადამიანის ბედნიერი ცხოვრების დასაწყისს ჩავუყარეთ საფუძველი. მერე სამოქალაქო რეესტრი შეიქმნა და იქ ვიმუშავე 2012 წლამდე. წეღან აღვნიშნე, ბავშვობიდან პოლიტიკა და საგარეო ურთიერთობები მიზიდავდა-მეთქი და ჩემი სამსახურის წყალობით ეს ამიხდა, რადგან უშუალოდ საკონსულოებთან მიწევდა ურთიერთობა. ჩემს სამსახურში ვიზიტისას გავიცანი ძალიან ახალგაზრდა ლადო ათანელი, მაყვალა გონაშვილი და კიდევ უამრავი ადამიანი. კმაყოფილი ვარ, რომ დედის რჩევას დავუჯერე და იურიდიული ფაკულტეტი ავირჩიე.

***- საჯარო სამსახურში მუშაობისას სხვადასხვა კატეგორიის ადამიანთან გიხდებათ ურთიერთობა. როგორ უმკლავდებით ამას?***

- ადამიანებთან ურთიერთობა ჩემთვის ახალი არაა. მიყვარს ადამიანები, მათთან კომუნიკაციის დროს მეც ვიზრდები. სოციუმთან ხშირი ურთიერთობა ჩემი მოთხოვნილებაა, რადგან მუდმივად ასეთ სამსახურებში მიწევდა მუშაობა.

***- რას იტყოდით ახალგაზრდებზე?***

- ძალიან კარგი ახალგაზრდობა გვყავს, ნიჭიერი, მაგრამ ჩვენ ბევრ წიგნს ვკითხულობდით და, მგონია, რომ მეტად განათლებულები ვიყავით. სკოლაც ზრუნავდა ამაზე. მახსოვს, სკოლაში იყო კლასგარეშე კითხვის საათი, სადაც გაკვეთილების შემდეგ ვრჩებოდით ბავშვები და წაკითხულ წიგნებს განვიხილავდით. მასწავლებელი ისმენდა ჩვენს აზრებს, არგუმენტებს და შემდეგ თავის მოსაზრებას გვიზიარებდა, ხშირად სულ სხვაგვარად შეგვიხედავს ამა თუ იმ ნაწარმოებისთვის. დღევანდელი ახალგაზრდობა ინფორმაციას კომპიუტერიდან იღებს მზა სახით და მისი განხილვა და გაფილტვრა ნაკლებად ხდება. თანამედროვე მიღწევები ძალიან კარგია, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ სოციალური ქსელი წიგნს ვერ ჩაანაცვლებს.



***- ვინ არის საჯარო მოხელე?***

- საჯარო მოხელე არის ადამიანი, რომლის პროფესიონალიზმზე დამოკიდებულია ის სტრატეგიები, განვითარების ხედვები და ნაბიჯები, რომელსაც ჩვენ ქვეყნის განვითარებისთვის ვდგამთ. დიახ, საჯარო მოხელის საქმე ხშირად დაუნახავია,მაგრამ ჩვენ, ყველანი, ჩვენი ქვეყნის ჯარისკაცები ვართ და სადაც საჭიროა, იქიდან უნდა ვემსახუროთ ჩვენს სამშობლოს.

***ქალბატონი მარინა 6 ნოემბერს იუბილარია. ვულოცავთ მას დაბადების დღეს და წარმატებებს ვუსურვებთ.***

ესაუბრა
**ინგა შიოლაშვილი**

# ჩემი პირველი არჩევნები

***2024 წლის ელექტრონული არჩევნები საქართველოში რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს შეიცავს, რაც მას ისტორიულ მოვლენად აქცევს. პირველად ქვეყანაში იქნა გამოყენებული ელექტრონული ხმის მიცემის სისტემა, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა არჩევნების პროცესი და პროცესის მოქნილობა. ამავდროულად, ელექტრონული სისტემების დანერგვა მოითხოვს მაღალ დონეზე უსაფრთხოების მექანიზმების შემუშავებას, რათა თავიდან იქნას აცილებული გაყალბების მთელი რიგი სქემები. ცესკომ უნდა უზრუნველყოს, რომ სისტემის სანდოობა და გამჭვირვალობა მაქსიმალურად იქნას დაცული, რათა მოსახლეობამ მეტი ნდობა გამოუცხადოს ახალ სისტემას მომავალში. ამიტომ, 2024 წლის ელექტრონული არჩევნები საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში მნიშვნელოვან გარდატეხად დარჩება.***

დღეს გაზეთი „შირაქი“ რამდენიმე ახალგაზრდა ამომრჩეველს გაგაცნობთ, რომელთათვისაც დებიუტი იყო 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები. თუ რას ნიშნავს სამოქალაქო პასუხისმგებლობა და რას განიცდიან ახალგაზრდა თაობის ამომრჩევლები პირველად მონაწილეობისას, ჩვენი რესპოდენტებისგან შეიტყობთ.

**ალეკო, 18 წლის** - „ჩემთვის, როგორც მოქალაქისთვის, პირველად მონაწილეობის მიღება საპარლამენტო არჩევნებში უდიდესი პასუხისმგებლობა და მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. დემოკრატიულ პროცესებში ჩართულობა არა მხოლოდ უფლება, არამედ ვალდებულებაცაა, რადგან თითოეულ ხმას შეუძლია გავლენა მოახდინოს ქვეყნის მომავალზე. განსაკუთრებით იმ გარემოებებში, სადაც თითოეული გადაწყვეტილება და ხმა შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს. მნიშვნელოვანია, საქართველოს თითოეული მოქალაქე პასუხისმგებლობით და სერიოზულობით მიუდგეს ამ პროცესს. როგორც აღვნიშნე, პირველად მივეცი ხმა და ამით გავაცნობიერე, რამდენად ღირებულია მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა. ვფიქრობ, არჩევნები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია, რომლის მეშვეობითაც შეგვიძლია ჩვენს მომავალს მივცეთ ფორმა. ჩემთვის საამაყოა, რომ დემოკრატიის გაძლიერების პროცესში მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანე და იმედი მაქვს, ჩვენი ხმა რეალურ ცვლილებებს შექმნის. ახლა, როგორც არასდროს, მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის აქტიური მოქალაქეობა“.

**თიკო, 18 წლის** - „ჩემი პირველი არჩევნები სიხარულითა და დაძაბულობით იყო სავსე. როცა მივიღე ინფორმაცია, რომ ხმის მიცემა შემეძლო, მოუთმენლად ველოდი ამ პროცესს. ეს იყო მომენტი, როდესაც პირველად მივედი ადგილობრივ არჩევნებზე და გააზრებული მქონდა, რამდენად მნიშვნელოვანია თითოეული ხმა. დადგა არჩევნების დღე, ავიღე საარჩევნო ბიულეტენი, რომელსაც ჯერ კარგად დავაკვირდი და შევედი კაბინაში. დამეუფლა სიამაყის გრძნობა, რადგან გავხდი ამ ქვეყნის აქტიური მოქალაქე და მონაწილეობას ვიღებდი დემოკრატიულ პროცესში. ჩემს ქალაქში, საარჩევნო უბნის შესასვლელთან რიგი იყო. ხალხი კი სხვადასხვა ასაკისა და სოციალური მდგომარეობის, რაც კიდევ უფრო მეტად მაფიქრებდა იმაზე, რომ ეს დღე ყველასთვის მნიშვნელოვანი იყო. ბიულეტენის შევსება ჩემთვის განსაკუთრებული მომენტი იყო. ვგრძნობდი, რომ ჩემი ხმა მნიშვნელოვანი იყო. როცა ხმის მიცემის პროცესი დასრულდა, იმედით სავსე გამოვედი, რადგან ვიცოდი, რომ ჩემი არჩევანი რაღაცის ნაწილია, რამაც შეიძლება მომავალზე გავლენა მოახდინოს. შემდეგ საათებში არჩევნების შედეგების მოლოდინში ვიყავი. ტელევიზიით შედეგების განახლებას და ხალხის რეაქციას ვხედავდი. ეს იყო ჩემთვის დამაინტრიგებელი და დაძაბული მომენტი, რადგან საზოგადოება აქტიურად განიხილავდა, ვინ იქნებოდა გამარჯვებული. მიუხედავად იმისა, რომ ჩემმა საყვარელმა კანდიდატმა ვერ გაიმარჯვა, ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ არჩევნებში მონაწილეობა მივიღე. მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო მხოლოდ ჩემი პირველი გამოცდილება, დარწმუნებული ვარ, რომ მომავალშიც აუცილებლად გავიხსენებ იმ სიხარულს და პირველ ემოციას, პასუხისმგებლობას, რაც ხმის მიცემასთან იყო დაკავშირებული“.

**ცოტნე, 19 წლის** - „რაც სრულწლოვანი მოქალაქე გავხდი, წელს პირველად მომიწია არჩევნებში მონაწილეობის მიღება და ეს ჩემთვის დიდი გამოცდილების მომტანი იყო. სამშობლოს წინაშე პასუხისმგებლობის ასეთი განცდა პირველად დამეუფლა და ეს ღელვა არასოდეს დამავიწყდება. სწორედ ამ დღეს ვიგრძენი თავი ქვეყნის რიგით ჯარისკაცად და ჯარში წასვლაც მტკიცედ გადავწყვიტე“.

***დასასრულს, მინდა გავიხსენო ჩემი ხმის პირველად განხორციელების პროცესი, რომელიც პირველი მოწვევის პარლამენტს და ჩვენი რაიონიდან პირველი მოწვევის გამარჯვებულ პარლამენტარს მივეცი. მას შემდეგ სამ ათეულ წელზე მეტი გავიდა და არ მახსოვს მომენტი და არცერთი არჩევნები ჩემს ქვეყანაში, რომ მასზე პირადი, განსაკუთრებული ღელვა არ მქონოდა, ალბათ იმიტომაც, რომ მუდამ ჩემი ქვეყნის მაჯისცემაზე მიდევს ხელი. იყო ბევრი გამარჯვება, უფრო მეტი იმედგაცრუება, მაგრამ არასოდეს ვკარგავ უკეთესი მომავლის იმედს, რომელსაც პირველ რიგში უკვე ჩვენი შვილების თაობა მაძლევს.***

ესაუბრა
***ელზა ხარაშვილი***

# ballon d`or 2024 და მამარდაშვილი ნომინანტებს შორის

***პარიზში „ოქროს ბურთის“ გადაცემის ცერემონიაზე სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულები დააჯილდოვეს.***

ლევ იაშინის სახელობის პრიზის პრეტენდენტებში ათი მეკარე იყო დასახელებული: დიოგუ კოშტა (პორტუ), ჯანლუიჯი დონარუმა (პსჟ), გრეგორ კობელი (დორტმუნდი), ანდრეი ლუნინი (რეალი), მაიკ მენიანი (მილანი), გიორგი მამარდაშვილი (ვალენსია), ემილიანო მარტინესი (ასტონ ვილა), უნაი სიმონი (ბილბაო), იან ზომერი (ინტერი), რონუენ უილიამსი (მამელოდი სანდაუნსი).

ზედიზედ მეორედ გამარჯვებული ემილიანო მარტინესი გახდა. მამარდაშვილი მეშვიდე ადგილზე გავიდა.

**1. მარტინესი, 2. სიმონი, 3. ლუნინი, 4. დონარუმა, 5.მენიანი, 6. ზომერი, 7. მამარდაშვილი, 8. დიოგუ კოშტა, 9. უილიამსი, 10. კობელი.**

„ამ დაჯილდოებაზე ყოფნა, ჩემი ბავშვობის ერთ-ერთი მთავარი ოცნება იყო. მიხარია აქ მოხვედრა, რადგან მოვიაზრები ერთ-ერთ ნომინანტად, ეს უკვე დიდი წარმატებაა. მე ვაგრძელებ შრომას და იმედი მაქვს, აქ არაერთხელ ვიქნები. მადლობა გულშემატკივრებს, თანაგუნდელებს და მთელ სამწვრთნელო შტაბს“, - განაცხადა მამარდაშვილმა, რომელიც ცერემონიაზე მეუღლესთან, ელენე ეპიტაშვილთან ერთად იმყოფებოდა.

ოქროს ბურთი არის ყოველწლიური საფეხბურთო ჯილდო, რომელსაც ფეხბურთელებს France Football ანიჭებს. იგი პატივს სცემს მსოფლიოს საუკეთესო მამაკაც ფეხბურთელს საერთაშორისო ჟურნალისტების ხმების საფუძველზე. 1956 წელს დაარსებული ჯილდო წლების განმავლობაში ვითარდებოდა, მათ შორის იყო პერიოდი, როდესაც იგი გაერთიანდა FIFA-ს წლის საუკეთესო მოთამაშის ჯილდოსთან 2010 წლიდან 2015 წლამდე, სანამ დაუბრუნდებოდა თავდაპირველ ფორმატს. შერჩევა ეფუძნება მოთამაშეების თამაშებს კალენდარული წლის განმავლობაში, ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა ინდივიდუალური უნარები, გუნდის წარმატება და საერთო გავლენა თამაშზე. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ინდივიდუალური ჯილდო ფეხბურთში.




# ილია თოფურიამ მაქს ჰოლოვეი დაამარცხა და ქამარი დაიცვა



***UFC 308-ზე, ქვემსუბუქი წონის (66 კგ) საჩემპიონო ორთაბრძოლაში, ილია თოფურიასა (15-0) და მაქს ჰოლოვეის (26-7) შორის ბრძოლა ილია თოფურიას გამარჯვებით დასრულდა.***

თოფურიამ გამარჯვება ნოკაუტით მოიპოვა.

ეს ილია თოფურიასთვის მე-16 გამარჯვება იყო. ქართველ მებრძოლს არცერთი დამარცხება არ ჰქონია და ამ გამარჯვებით, UFC-ის იტორიაში პირველი ქართული ქამრის დაცვა მოახერხა.

ილია თოფურიას გამარჯვება მაქს ჰოლოვეიზე მნიშვნელოვანი მომენტი იყო მის კარიერაში. თოფურიამ აჩვენა თავისი განსაკუთრებული უნარები, მოიგო ბრძოლა და წარმატებით დაიცვა ჩემპიონის ტიტული. თოფურიას საბრძოლო შესრულებამ ხაზი გაუსვა მის დარტყმების ტექნიკას და შესაძლებლობებს რთულ შეჯიბრებაში, განამტკიცა მისი, როგორც საუკეთესო მებრძოლის სტატუსი დივიზიონში. ჰოლოუეის მსგავს ვეტერანზე გამარჯვებამ არა მხოლოდ დაარწმუნა საზოგადოება მის უპირატესობაში, არამედ განამტკიცა ის ჩემპიონის დომინანტურ პოზიციაზე UFC-ის წონით წონაში. გულშემატკივრებზეც და ანალიტიკოსებზეც შთაბეჭდილება მოახდინა თოფურიას უნარმა, ტაქტიკურად დააღწიოს თავი ასეთ დიდ მოწინააღმდეგეს.

ილია თოფურიას, ბოლო წარმატებების შემდეგ, ნათელი მომავალი აქვს. UFC-ის მოქმედი ჩემპიონის მაქს ჰოლოუეის დამარცხების შემდეგ, ის სავარაუდოდ დივიზიონის ცენტრალური ფიგურა იქნება. შესაძლო სამომავლო მატჩები შეიძლება შეიცავდეს საუკეთესო პრეტენდენტებს, როგორიცაა ალექსანდრე ვოლკანოვსკი, ბრაიან ორტეგა ან სხვა ამომავალი ვარსკვლავები.

მისი შთამბეჭდავი უნარების ნაკრებით და მზარდი გულშემატკივართა ბაზით ვარაუდობენ, რომ ილია შეიძლება გახდეს ამ სპორტში ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე. თუ ის განაგრძობს მაღალ დონეზე ასპარეზობას და ტიტულის წარმატებით დაცვას, მან შეიძლება გააძლიეროს თავისი მემკვიდრეობა, როგორც ერთ-ერთმა დიდმა სპორტსმენმა თავის წონით კატეგორიაში. გარდა ამისა, ილიას საბრძოლო სტილი შეიძლება უფრო „გახმაურებლი“ ბრძოლების მიზეზიც კი გახდეს, რაც კიდევ უფრო აამაღლებს მის კარიერას.

# კიკბოქსინგელების მორიგი წამატება

***18-19-20 ოქტომბერს ქ. ახმეტაში გაიმართა კიკ-ბოქსინგში საქართველოს ეროვნული გმირის გიორგი ანწუხელიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღია ტურნირი საქართველოს კიკბოქსინგისა და ტაილანდური კრივის ფედერაციის მიერ (პრეზიდენტი ლაშა ჭურაძე, შეჯიბრის ორგანიზატორი ჯაბა თვალიაშვილი), სადაც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სპორტულმა კლუბებმა. წარმატებით იასპარეზეს დედოფლისწყაროელებმაც.***

მონაწილეობდნენ სომხეთის თურქეთის და ირანის გუნდებიც. მათ შორის საუკეთესო შედეგებით დაბრუნდა ზემო მაჩხაანის სპორტული კლუბი „ზაქები“ (მწვრთნელი გენადი ნატროშვილი). ოთხმა სპორტსმენმა დაიკავა პირველი ადგილი. ესენი არიან

*ნიკა ჯაბაშვილი 70 კგ 2009წ
*გოჩა ჩუთლაშვილი 61კგ 2009წ
*ლუკა მექერიშვილი 63 კგ 2010წ
*საბა ნატროშვილი 36 კგ 2011წ

**მეორე ადგილი დაიკავეს:**

*გიორგი მაძღარაშვილი 53 კგ 2011წ
*ვიტალი ცისკაძე 47კგ 2013წ
*საბა მახარაძე 50კგ 2010წ
*რატი დაუთაშვილი 35კგ 2013წ.

გოჩა ჩუთლაშვილი ფინალურ ორთაბრძოლაში შეხვდა ირანის ამომავალ ვარსკვლავს შაჰ-ზადეს, სადაც მან მეტოქე დაამარცხა ტექნიკური ნოკაუტით და სუფთად გაიმარჯვა.



# „კვარას“ მომავალი?“

***დიეგო არმანდო მარადონას ყოფილმა მენეჯერმა სტეფანო ჩეჩიმ თელევომეროსთან ინტერვიუში ხვიჩა კვარაცხელიას შესახებ ისაუბრა. ჩეჩის თქმით, მისი აზრით, „კვარა“ „ნაპოლისთან“ ახალ კონტრაქტს მოაწერს ხელს.***



„კვარას“ მომავალი? ვფიქრობ, მალე ყველაფერი მოგვარდება და ის „ნაპოლიში“ დარჩება. ქართველმა ახლახანს „პარტენოპეის“ საჩემპიონო შანსების შესახებ ისაუბრა, ის თავს ნეაპოლური გარემოს ნაწილად თვლის“, - განაცხადა ჩეჩიმ.

„ნაპოლის“ ყოფილმა ფეხბურთელმა ალესანდრო რენიკამ თელევომერო-სთან ინტერვიუში „პარტენოპეისა“ და „კვარას“ შესახებ ისაუბრა.

რენიკას თქმით, „ნაპოლის“ მთავარმა მწვრთნელმა ანტონიო კონტემ მოკლე დროში შესანიშნავი სამუშაო გასწია და გუნდის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა მოაგვარა, რის გამოც ნეაპოლელებმა შარშან სასურველი შედეგის დადება ვერ მოახერხეს, რაც შეეხება „კვარას“ კონტრაქტს, ვეტერანის თქმით, დიდი მოთამაშეები შესაბამის ანაზღაურებას იმსახურებენ.

„კონტემ გადაჭრა ის პრობლემა, რის გამოც შარშან „ნაპოლი“ ჩამოიშალა, დღესდღეობით „პარტენოპეი“ საჯარიმოში თავს შესანიშნავად იცავს. ამის უყურადღებოდ დატოვება შეუძლებელია. ანტონიოს ვულოცავ, ბონჯორნოს ტრანსფერით დიდი მიზნისკენ სვლა შეგვიძლია.

„კვარას“ კონტრაქტი? ძლიერი ფეხბურთელები დიდ ხელფასს იმსახურებენ. საფეხბურთო თვალსაზრისით, ხვიჩაზე შეყვარებული ვარ, ისევე როგორც წლების წინ დრის მერტენსზე ვიყავი. მოედანზე განსხვავებას სწორედ ასეთი მოთამაშეები ქმნიან“, - განაცხადა რენიკამ.

შეგახსენებთ, ბოლო ინფორმაციით, ხვიჩა კვარაცხელიას წარმომადგენლები ფეხბურთელის ახალ ხელშეკრულებაში გამოსასყიდი თანხის ჩადებასა და ხელფასის სახით 8 მილიონი ევროს ანაზღაურებას ითხოვენ, ამ პირობებზე კი ნეაპოლური კლუბის პრეზიდენტი აურელიო დე ლაურენტისი ჯერჯერობით უარს აცხადებს.

*გვერდი მოამზადა*
**ჟუჟუნა ყანჩაშვილმა**

# საპარლამენტო არჩევნების შემდეგ...

**დედოფლისწყაროში რეგისტრირებული 20 352 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 12 711-მა, რაც საერთო სიის 62,46%-იანი აქტივობაა. 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე ქალაქ დედოფლისწყაროსა და მის სოფლებში გახსნილ საარჩევნო უბნებზე გამოცხადდა 7569 კაცი (37,19%) და 5142 ქალი (25,27%).**

დედოფლისწყაროს ამომრჩეველთა აქტივობის წინა წლების მონაცემები ასეთია:

2012 წლის საპარლამენტო — **61,09%** (14131)
2013 წლის საპრეზიდენტო — **53,41%** (12 326)
2014 წლის თვითმმართველობის — **51,65%** (11 684)
2017 წლის თვითმმართველობის — **52,23%** (10 385)
2018 წლის საპრეზიდენტო – პირველი ტური — **50,37%** (11 017)
მეორე ტური — **57,26%** (12 551)
2021 წლის თვითმმართველობის — **55,73%** (11 873)

წელს 23 უბნის ნაცვლად მხოლოდ 20 მოქმედებდა, საიდანაც 9-ში ელექტრონული არჩევნები ჩატარდა, 11-ში კი ძველი მეთოდითა და ტრადიციული ბიულეტენებით.

**20-დან ხუთი საარჩევნო უბნის შედეგები სამი დღის შემდეგ ხელახლა გადაითვალეს. როგორც საოლქო საარჩევნო კომისიაში გაზეთ „შირაქს“ განუცხადეს, 29 ოქტომბერს საუბნო კომისიებმა ბიულეტენები ხელახლა დაითვალეს 11-ე, 13-ე, 15-ე, 17-ე და მეოცე უბნებში. დალუქული ბიულეტენები გაიხსნა სოფელ ხორნაბუჯში, ზემო ქედის კლუბში, არხილოსკალოში, ქვემო ქედის სკოლაში და სოფელ საბათლოში. ყველა შემთხვევაში ხელახლა დათვლის დროს მონაცემები დაემთხვა არჩევნების ღამეს თავდაპირველად, საუბნო კომისიის მიერ შედგენილ ოქმებს. ამდენად, საოლქო კომისიის გადაწყვეტილებით, მონაცემები უცვლელი დარჩა.**

### საჩივრები

წლევანდელი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დედოფლისწყაროს ოლქში 19 საჩივარია რეგისტრირებული. 1 არჩევნების წინა დღეს შედგა, რომელიც საუბნო კომისიის წევრის მიერ ფეისბუქში დაწერილ კომენტარებს ეხებოდა, დანარჩენი არჩევნების მსვლელობისას მცირე პროცედურულ დარღვევებს ასახავდა.

დედოფლისწყაროს ოლქში 19 საჩივრიდან 16 „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა დაწერეს, 3 – „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებლებმა. **ISFED**-ის წარმომადგენელი ირმა ბურდული საჩივარში წერს, რომ მე-12 საარჩევნო უბანზე ადგილი ჰქონდა აგიტაციას კენჭისყრის შენობაში და ზეწოლა მოხდა თავად დამკვირვებელზე. „სამართლიანი არჩევნები“ კომისიის თავმჯდომარის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას ითხოვს. ირმა ბურდულის კიდევ ერთი საჩივრის მიხედვით, დედოფლისწყაროს მე-17 უბანზე დაირღვა ფარულობის პრინციპი. „ამომრჩეველს კაბინიდან გამოსვლის შემდეგ არ ჰქონდა დაკეცილი კონვერტი. ადვილად შესაძლებელი იყო იდენტიფიცირება, თუ ვის მისცა ხმა. ასეთი რამ ოთხი ამომრჩევლის შემთხვევაში დაფიქსირდა“ – დაწერა დამკვირვებელმა.

ოპოზიცია საჩივრებში იმ ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას, რომ საარჩევნო უბნები დედოფლისწყაროშიც პატარა ოთახებში იყო განთავსებული და დამკვირვებლებს ფართის სიმცირის გამო არ ეძლეოდათ შესაძლებლობა რეგისტრატორების მაგიდის უკან დამდგარიყვნენ და ამომრჩეველთა იდენტიფიცირების პროცესისთვის თვალი ედევნებინათ. ნაცმოძრაობის წარმომადგენელი მეგი ბენაშვილი საჩივრებში წერს, რომ სარეგისტრაციო მაგიდები კედელთან ახლოს იყო მიდგმული და ფართის სიმცირის გამო ვერ ახერხებდნენ ვერიფიკაციის აპარატის მონაცემები და ფოტოსურათი ამომრჩეველთან უშუალოდ შეედარებინათ.

„ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების საჩივრებში წერია:

- დედოფლისწყაროს პირველ და მეორე საარჩევნო უბნებზე, რეგისტრატორებმა ამომრჩეველზე გასცეს 2-2 ბიულეტენი.
- დედოფლისწყაროს მერვე უბანზე სარეგისტრაციო მაგიდები კედელთან ახლოს იყო, რის გამოც დამკვირვებლებს ეზღუდებოდათ დაკვირვების უფლება.
- მეათე, სოფელ გამარჯვების საარჩევნო სიებში აღმოჩენილია სამი გარდაცვლილი მოქალაქე.
- დედოფლისწყაროს მეოთხე უბანთან, მიკროავტობუსში იმყოფებოდნენ პირები, რომლებსაც ჰქონდათ ამომრჩევლის პერსონალური მონაცემები.

*ილია მარტყოფლიშვილი*

## არჩევნების შედეგები დედოფლისწყაროს უბნებისა და სოფლების მიხედვით

**უბანი №1 ქ. დედოფლისწყარო,**
კულტსახლი
**1269 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 784-მა, გაბათილდა 9 ბიულეტენი.**

ოცნება — 483 ხმა 62,40%
ლელო — 83 ხმა 10,72%
ნაცმოძრაობა — 67 ხმა 8,65%
გვარამია-მელია — 47 ხმა 6,07%
გახარია — 44 ხმა 5,68%
პატრიოტთა ალიანსი — 16 ხმა 2,06%
გირჩი — 16 ხმა 2,06%
ლეიბორისტები — 6 ხმა, 0,77%

**უბანი №2 ქ. დედოფლისწყარო,**
მესამე ბაღი
**2113 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 1290-მა, გაბათილდა 27 ბიულეტენი.**

ოცნება — 816 ხმა 64.60%
ნაცმოძრაობა — 100 ხმა 7,91%
ლელო — 93 ხმა 7,36%
გვარამია-მელია — 83 ხმა 6,57%
გახარია — 76 ხმა 6.01%
პატრიოტთა ალიანსი — 34 ხმა 2,69%
გირჩი — 31 ხმა 2,45%
ლეიბორისტები — 11 ხმა, 0,87%

**უბანი №3 ქ. დედოფლისწყაროს**
№4 ბაღი, „კამიშოვკა“
**1228 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 817-მა, გაბათილდა 8 ბიულეტენი.**

ოცნება — 545 ხმა 67.36%
ლელო — 60 ხმა 7,41%
ნაცმოძრაობა — 53 ხმა 6,55%
გვარამია-მელია — 50 ხმა 6,18%
გახარია — 44 ხმა 5.43%
პატრიოტთა ალიანსი — 26 ხმა 3,21%
გირჩი — 16 ხმა 1,97%
ლეიბორისტები — 4 ხმა, 0,49%

**უბანი №4, ქ დედოფლისწყარო,**
ვაშლოვანი
***1192 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 751-მა, გაბათილდა 7 ბიულეტენი.***

ოცნება — 470 ხმა 63,17%
ნაცმოძრაობა — 69 ხმა 9,27%
ლელო — 65 ხმა 8,73%
გვარამია-მელია — 53 ხმა 7,12%
გახარია — 28 ხმა 3.76%
პატრიოტთა ალიანსი — 21 ხმა 2,82%
გირჩი — 16 ხმა 2,15%
ლეიბორისტები — 4 ხმა, 0,53%

**უბანი №5, ზემო მაჩხაანის** ყოფილი სკოლა
***846 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 588-მ, გაბათილდა 5 ბიულეტენი.***

ოცნება — 342 ხმა 58,66%
ნაცმოძრაობა — 90 ხმა 15,43%
ლელო — 63 ხმა 10,80%
გახარია — 28 ხმა 4.80%
გვარამია-მელია — 22 ხმა 3,77%
პატრიოტთა ალიანსი — 17 ხმა 2,91%
გირჩი — 9 ხმა 1,54%
ლეიბორისტები — 4 ხმა, 0,68%

**უბანი №6 ზემო მაჩხაანი,**
კულტსახლი
***894 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 611-მა, გაბათილდა 2 ბიულეტენი.***

ოცნება — 336 ხმა 55,17%
ნაცმოძრაობა — 111 ხმა 18,22%
ლელო — 74 ხმა 12,15%
გვარამია-მელია — 35 ხმა 5,74%
გახარია — 17 ხმა 2.79%
პატრიოტთა ალიანსი — 11 ხმა 1,80%
ლეიბორისტები — 7 ხმა, 1,14%
გირჩი – 6 ხმა 0,98%

**უბანი №7 მირზაანი**
***430 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 334-მა, გაბათილდა 0***

ოცნება — 260 ხმა 77,84%
ნაცმოძრაობა — 30 ხმა 8,98%
ლელო — 22 ხმა 6,58%
გვარამია-მელია — 10 ხმა 2,99%
გახარია — 4 ხმა 1.19%
პატრიოტთა ალიანსი — 2 ხმა 0,59%
გირჩი – 3 ხმა 0,89%
ლეიბორისტები — 2 ხმა, 0,59%

**უბანი №8 არბოშიკი**
***1046 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 699-მ, გაბათილდა 13 ბიულეტენი.***

ოცნება — 429 ხმა 62,53%
ნაცმოძრაობა — 63 ხმა 9,18%
ლელო — 58 ხმა 8,45%
გვარამია-მელია — 43 ხმა 6,26%
გახარია — 26 ხმა 3.79%
პატრიოტთა ალიანსი — 21 ხმა 3,06%
გირჩი – 18 ხმა 2,62%
ლეიბორისტები — 7 ხმა, 1,02%

**უბანი №9 ოზაანი**
**815 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 574-მა, გაბათილდა 5 ბიულეტენი.**

ოცნება — 378 ხმა 66,43%
ნაცმოძრაობა — 55 ხმა 9,66%
გვარამია-მელია — 45 ხმა 7,90%
ლელო — 43 ხმა 7,55%
გახარია — 17 ხმა 2.98%
პატრიოტთა ალიანსი — 12 ხმა 2,10%
გირჩი – 1 ხმა 0,17%
ლეიბორისტები — 2 ხმა, 0,35%

**უბანი №10 გამარჯვება**
***1013 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 565-მა, გაბათილდა 6 ბიულეტენი.***

ოცნება — 373 ხმა 66,72%
ლელო — 53 ხმა 9,48%
გვარამია-მელია — 39 ხმა 6,97%
ნაცმოძრაობა — 35 ხმა 6,26%
გახარია — 26 ხმა 4.65%
პატრიოტთა ალიანსი — 17 ხმა 3,04%
გირჩი – 11 ხმა 1,96%
ლეიბორისტები — 3 ხმა, 0,53%

**უბანი №11 ხორნაბუჯი**
***1857 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 1079-მა, გაბათილდა 7 ბიულეტენი.***

ოცნება — 813 ხმა 75,84%
ნაცმოძრაობა — 90 ხმა 8,39%
ლელო — 56 ხმა 5,22%
გვარამია-მელია წ— 44 ხმა 4,10%
პატრიოტთა ალიანსი — 23 ხმა 2,14%
გახარია — 19 ხმა 1.77%
გირჩი – 16 ხმა 1,49%
ლეიბორისტები — 2 ხმა, 0,18%

**უბანი №12 სამრეკლო**
***1685 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 1133-მა, გაბათილდა 11***

ოცნება — 756 ხმა 67,38%
ნაცმოძრაობა — 126 ხმა 11,23%
ლელო — 88 ხმა 7,84%
გვარამია-მელია — 45 ხმა 4,01%
გახარია — 41 ხმა 3.65%
პატრიოტთა ალიანსი — 32 ხმა 2,85%
გირჩი – 20 ხმა 1,78%
ლეიბორისტები — 4 ხმა, 0,35%

**უბანი №13 ზემო ქედი**
კულტსახლი
***966 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 525-მა, გაბათილდა 7 ბიულეტენი.***

ოცნება — 347 ხმა 66,98%
ნაცმოძრაობა — 47 ხმა 9,07%
ლელო — 38 ხმა 7,33%
პატრიოტთა ალიანსი — 27 ხმა 5,21%
გახარია — 22 ხმა 4.24%
გვარამია-მელია — 14 ხმა 2,70%
ლეიბორისტები — 7 ხმა, 1,35%
გირჩი – 6 ხმა 1,15%

**უბანი №14 ზემო ქედის** №2 სკოლა
***807 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 440-მა, გაბათილდა 3 ბიულეტენი.***

ოცნება — 271 ხმა 62,01%
ნაცმოძრაობა — 49 ხმა 11,21%
ლელო — 31 ხმა 7,09%
გვარამია-მელია — 27 ხმა 6,17%
გახარია — 22 ხმა 5.03%
პატრიოტთა ალიანსი — 17 ხმა 3,89%
გირჩი – 8 ხმა 1,83%
ლეიბორისტები — 2 ხმა, 0,45%

**უბანი №15 არხილოსკალო**
***977 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 565-მა, გაბათილდა 7 ბიულეტენი.***

ოცნება — 366 ხმა 65,59%
პატრიოტთა ალიანსი — 41 ხმა 7,34%
ნაცმოძრაობა — 37 ხმა 6,63%
გვარამია-მელია — 34 ხმა 6,09%
გახარია — 25 ხმა 4.48%
ლელო — 24 ხმა 4,30%
გირჩი – 20 ხმა 3,58%
ლეიბორისტები — 1 ხმა, 0,17%

**უბანი №16 ქვემო ქედი**
სპორტდარბაზი
***532 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 305-მა, გაბათილდა 4 ბიულეტენი.***

ოცნება — 211 ხმა 70,1%
გვარამია-მელია — 22 ხმა 7,30%
ნაცმოძრაობა — 21 ხმა 6,97%
ლელო — 20 ხმა 6,64%
პატრიოტთა ალიანსი — 12 ხმა 3,98%
გახარია — 4 ხმა 1.32%
გირჩი – 2 ხმა 0,66%
ლეიბორისტები — 1 ხმა, 0,33%

**უბანი №17 ქვემო ქედი,** სკოლა
***769 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 452-მა, გაბათილდა 7 ბიულეტენი.***

ოცნება — 346 ხმა 77,57%
ნაცმოძრაობა — 27 ხმა 6,05%
ლელო — 21 ხმა 4,70%
გვარამია-მელია — 18 ხმა 4,03%
პატრიოტთა ალიანსი — 14 ხმა 3,13%
გახარია — 10 ხმა 2.24%
გირჩი – 4 ხმა 0,89%
ლეიბორისტები — 1 ხმა, 0,22%

**უბანი №18 სამთაწყარო**
***1086 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 618-მა, გაბათილდა 3 ბიულეტენი.***

ოცნება — 355 ხმა 57,63%
ნაცმოძრაობა — 112 ხმა 18,18%
ლელო — 76 ხმა 12,33%
გვარამია-მელია — 36 ხმა 5,84%
გახარია — 16 ხმა 2.59%
პატრიოტთა ალიანსი — 10 ხმა 1,62%
გირჩი – 4 ხმა 0,64%
ლეიბორისტები — 1 ხმა, 0,16%

**უბანი №19 ფიროსმანი**
***483 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 337-მა, გაბათილდა 10 ბიულეტენი.***

ოცნება — 217 ხმა 66,36%
ნაცმოძრაობა — 52 ხმა 15,90%
ლელო — 34 ხმა 10,39%
გვარამია-მელია — 8 ხმა 2,44%
გახარია — 6 ხმა 1.83%
პატრიოტთა ალიანსი — 1 ხმა 0,30%
გირჩი – 2 ხმა 0,61%

**უბანი №20, საბათლო**
***344 ამომრჩევლიდან ხმა მისცა 250-მა, გაბათილდა 3 ბიულეტენი.***

ოცნება — 224 ხმა 90,69%
ნაცმოძრაობა — 10 ხმა 4,04%
გვარამია-მელია — 7 ხმა 2,83%
ლელო — 4 ხმა 1,61%
გირჩი – 1 ხმა 0,40%

# „ნაზარლები“ — 3000 წლის სამლოცველო დედოფლისწყაროში

*დღევანდელი დედოფლისწყაროს ტერიტორიის დიდი ნაწილი (ქიზიყი, უფრო ადრე – ჰერეთიც), საიდანაც მომდინარეობს ის არქეოლოგიური წყარო-მასალები, რომლის შესწავლა-ანალიზსაც ეთმობა ეს ნაშრომი, ივრის ზეგანს უჭირავს, რომელიც აქაური რელიეფის მთავარი ოროგრაფიული ერთეულია. ივრის ზეგანზე განლაგებულია დიდი შირაქის ვაკე, რომელიც გაშლილია ალაზან-ივრის შუამდინარეთში. მისი ზედაპირი, ზღვის დონიდან 560-700 მ სიმაღლეზე მდებარეობს. ვაკე შემოსაზღვრულია ქოჩების, ნაზარლების, შუანამთისა და არხილოსკალო-ყაშის დაბალი სერებით. დიდი შირაქის ვაკე აღმოსავლეთით უერთდება კასრისწყლის ვაკეს, რომელიც ეროზიული რელიეფით ხასიათდება*

ელდარის დაბლობს უჭირავს ივრის მარცხენა სანაპიროს ზოლი, რომლის მაქსიმალური სიგანე არის 6-7 კმ, სიგრძე ივრის გასწვრივ – 20-22 კმ, ხოლო სიმაღლე – 100-200 მ. ელდარის დაბლობი ცნობილია მშრალი კლიმატით. აქ წლიური ნალექიანობა 250-300 მმ-ს შეადგენს. ელდარის დაბლობი საქართველოში ერთადერთი ადგილია, სადაც ნამდვილი ნახევარუდაბნოს ლანდშაფტია განვითარებული.

არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებული მასალების ანალიზის საფუძველზე დადასტურდა, რომ გარეჯა-ივრის რაიონი, ადამიანს მუდმივად ჰქონდა ათვისებული ძვ. წ. IV ათასწლეულის II ნახევრიდან ანტიკური პერიოდის დასაწყისამდე. განსაკუთრებით საყურადღებოა ძვ. წ. II ათასწლეულის უკანასკნელი საუკუნეებით დათარიღებული ქალაქური ტიპის დასახლებების უზარმაზარი კომპლექსის ნაშთების აღმოჩენა [ფიცხელაური კ, 1988]. რეგიონში ჩატარებულმა სამუშაოებმაც ნათელი გახადა, რომ ივრის ზეგანზე ადრეული ქალაქური სისტემების გაჩენა-ჩამოყალიბებას მყარი საფუძველი შეუქმნა, აქ მოსახლე ქართველური ტომების მიერ, მდიდარი ადგილობრივი რესურსების სწორმა და წარმატებულმა გამოყენებამ. ამის საფუძველი უნდა გამხდარიყო მათ სამეურნეო-ეკონომიკურ ცხოვრებაში, განვითარებულ მორწყვითი მიწათმოქმედებასთან ერთად, ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის მნიშვნელოვანი წილიც. სწორედ ეს უნდა ქცეულიყო ივრის ზეგანზე საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური დაწინაურების და ამის შედეგად დამოგრაფიული აღმავლობის საწინდრად [ფიცხელაური კ., 2018]. დადგინდა, რომ გარეჯა-ივრის რაიონში 3000-3300 წლის წინ არსებობდა ქალაქური ტიპის მძლავრი დასახლებები. არქეოლოგიური მასალების ანალიზი მოწმობს, რომ **გარეჯა-ივრის იმდროინდელ მოსახლეობას მაღალ დონეზე ჰქონდა განვითარებული მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. აგრეთვე, მეტალურგიული საქმიანობა – რკინის გამოდნობა და მისი ექსპორტი**, რაც დასახლებების განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ეკონომიკური ბერკეტი იყო.

2017 წლიდან, მთა „ნაზარლებზე“ (შირაქი, დედოფლისწყარო) მდებარე გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის ნაქალაქარს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვიზუალური ანთროპოლოგიისა და ლოკალური ისტორიის ლაბორატორიისა და ჰალლეს (გერმანია) მარტინ ლუთერის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის არქეოლოგიისა და ხელოვნების ინსტიტუტის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია შეისწავლის. ექსპედიცია დაფინანსებულია გერმანული მხარის მიერ;

არსებული არქეოლოგიური ძეგლი და სხვა მსგავსი ტიპის ძეგლები, სამეცნიერო საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-ანი წლებიდანაა ცნობილი. თუმცა, მიუხედავად ამისა, ამ მხარეში, იმ პერიოდისათვის არსებული რიგი გასაიდუმლოებული სამხედრო ობიექტების (მაგ. დამრტყმელი ავიაპოლკი სოფ. ქვემო ქედთან და სხვა) არსებობის გამო, შეუძლებელი იყო იქ არქეოლოგიური სამუშაოები. მოგვიანებით, ე.წ. ,,გარდაქმნის პერიოდში“, როდესაც, ამ მხრივ, ცოტა შერბილდა აკრძალვები, 1986 წლიდან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიურ ცენტრთან არსებული კახეთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში (ხელ. – აკად. კ. ფიცხელაური) ჩამოყალიბდა ცალკე საველე რაზმი ბესარიონ მაისურაძის ხელმძღვანელობით. რაზმმა, მიუხედავად იმ პერიოდისთვის ბიუროკრატიული შემაფერხებელი ფაქტორებისა და ქვეყანაში შექმნილი ქაოსის ფონზე, მაინც შესძლო გარკვეული დაზვერვითი სამუშაოების ჩატარება. ამას შემდგომ, მხოლოდ 2007-09 წლებში, ილიას უნივერსიტეტის მიერ ამ ადგილზე წარმოებული არქეოლოგიური სამუშაობის დროს (ნაქალაქარის აღმოსავლეთით, დაბლობზე, არსებული სამაროვნის შესწავლა), ნაზარლების ნაქალაქარის ციტადელის პირველსა და მეორე ტერასაზე, სავარაუდო კარიბჭეების გამოვლენის მიზნით, პროფ. ვ. ვარაზაშვილმა გაავლო ორი სადაზვერვო თხრილი. თუმცა, შემდგომში აქ სამუშაოები შეაჩერა.

* * *

ნაზარლების ნამოსახლარი, განლაგებულია



ქანობზე და გეოლოგიური სტურქტურით წარმოადგენს ბუნებრივ ბორცვს; რომელიც, თავის დროზე, ხელოვნური თხრილებისა და ზვინულების მეშვეობით გამაგრებულ პუნქტად უქცევია მაშინდელ მოსახლეობას დაზვერვითი ზედაპირული დაკვირვებით, ცენტრალურ ნამოსახლარს უნდა სჭეროდა 2.5-დან 3 ჰექტრამდე ფართობი. მზის გულზე გაშლილი დასახლება, პირით, ჩრდილო/დასავლეთიდან სამხრეთ/აღმოსავლეთისკენ არის დამხრობილი და გადაჰყურებს შირაქის ზეგანს ჩრდილო/აღმოსავლეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთ/აღმოსავლეთ მიმართულებით. აღმოსავლეთით, დასახლების ძირში, განლაგებულია ყორღანული სამაროვანი, თანმხლები ჩაშვებული სამარხებით, რომელიც ნაზარლების ნამოსახლარის თანადროულია და დიდი ვარუდით, თავის დროზე, სწორედ მის მოსახლეებს ეკუთვნოდათ. ნამოსახლარს, სამხრეთ-აღმოსავლეთით დამშრალი ხევი ჩამოუდის, რომელიც თანახმად პალეოგეოლოგიური კვლევებისა [ჯანელიძე ზ. 2007, ელაშვილი მ. 2012], ადრე, სავარაუდოდ, მიწისქვეშა ზინულებით და ნაჟური წყლებით საზრდოობდა. დღესაც შეიმჩნევა ამ ხევის ძირში შედარებით ინტენსიური მწვანე საფარი, დაბალი ძეძვ-ბუჩქნარის სახით. დასახლების ცენტრალურ ადგილად უნდა ჩაითვალოს მის უკიდურეს დასავლეთით ამაღლებულ ნაწილში, სამიარუსიანი გალავნით გამაგრებული ტერასა. გალავნის კონსტრუქცია, ტიპიურია ამ მხარის გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის თავდაცვითი ნაგებობებისათვის, რითაც იგი გარკვეულ მსგავსებას იჩენს წინააზიურ საფორტიფიკაციო ძეგლებთან [ყიფიანი 2007]. აქ, მაქსიმალურადაა გამოყენებული ადგილობრივი ქვა-ღორღიანი ნიადაგი. გალავნის ხერხემალია რიყის ქვით ნაგები, დაქსელილი ტიხრები, რომელიც შევსებულია ნაქალაქარის სამურნეო ნარჩენებშერეული თიხნარით თუ ღორღიანი ნარევით; გალავნის ზედაპირი, მოგებულ-მოტკეპნილია წვრილი ქვა-ღორღით.







ტერასის თხემზე, 2018-19-21 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გამოვლინდა ის სამლოცველო, რომლის შესახებაც ვსაუბრობთ. (იხ. ტაბულა III). უკვე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს მიერ გამოვლენილი სამლოცველო, თავისი არქიტექტურით და ხასიათით, არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, ჯერ კიდევ 1977-78 წწ-ში შესწავლილი შილდის სამლოცველოს მსგავსია. თავის მხრივ, ეს ფაქტი საგანგებო აღნიშვინის ღირსია, რამდენადაც იგი იორ-ალაზნის ორმდინარეთში, ამ ქრონოლოგიურ მონაკვეთში (ანუ, ქრისტემდე II-I ათასწლეულების მიჯნაზე), ერთიანი სამეურნო-კულტურული და სულიერი სამყაროს არსებობის უტყუარ დამადასტურებელ ფაქტად უნდა ჩაითვალოს. ნაზარლების ნამოსახლარის ზედა ტერასაზე გამოვლენილი ეს სამლოცველოც, შილდის სამლოცველოს მსგავსად, წრიული ფორმისაა, რომლის შემორჩენილი გალავნის საძირკველის (განი – 1-1.2 მ) გარეთა და შიდა პერანგი, მკვიდრად ნაგებია საგანგებოდ ნარჩევი ფლეთილი ბრტყელი ლოდებით; ხოლო პერანგში და შიგთავსი სივრცე, ხურდაქვით, მცირე ზომის რიყის ქვებით არის შევსებული. საქმე იმაში გახლავთ, რომ **ეს ბრტყლი სიპ-ლოდები, რომლითაც ამოყვანილი ყოფილა ნაზარლების სამლოცველოს გალავნის შიდა და გარე პერანგი, ამ არემარეში და გეოლოგიურ ფენებში, სადაც მდებარეობს სამლოცველო და ზოგადად ნაზარლების ნამოსახლარი, არ მოიპოვება. სამაგიეროდ ამ ფორმის სამშენებლო მასალა უხვად გვხვდება ივრის ხეობაში, დღევანდელი ჭაჭუნას აღკვეთილის ტერიტორიაზე; ანუ, ნაზარლების ნამოსახლარიდან სამხრეთ დასავლეთით, 20-22 კილომეტრის მოშორებით. გამოდის, რომ სამლოცველოს ამგებთ, საშენი მასალა, საკმაოდ შორიდან მოუზიდავთ;** თანაც, განსაზღვრული ფორმისა, საკმაოდ მყარად ჩამოყალიბებული სამშენებლო ტრადიციის შესაბამისად. ზუსტად ამგვარი ტექნიკის და სამშენებლო ტრადიციის საფუძველზეა ნაგები შილდის სამოცველოც. ანუ ქრისტემდე XIIX ს.ს-ში, ამ მხარის მოსახლე სოციუმის ეთნოგრაფიულ ყოფაში, არსებულა არა მხოლოდ სულიერ-კულტურული ერთობა (რისი ნათელი მაგალითიცაა შილდისა და ნაზარლების ურთიერთმსგავსი სამლოცველოები), არამედ, მათ ჰქონიათ ერთიანი სამშენებლო ტრადიციაც. სამლოცველოს, სათემო ღვთაების თაყვანცემის წმინდა ადგილის აგებისას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოციუმის მიერ გაწეულ-დახარჯულ კოლექტიურ შრომას; რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო კრავდა და ადუღაბებდა საერთო შეგნების საფუძველზე ჩამოყალიბებულ ამ სოციალურ ერთობას. ქართველი ერის ეთნოგრაფიულ ყოფაში შესწავლილ ტრადიციულ-ადათობრივი დღესასწაულების მსვლელობისას. ამგვარი ხასიათის შრომის გამწევთა მიმართ პატივისცემა და მოწიწება საგანგებოდ აღინიშნება.

კოლექტიურ შრომას, რომელიც მათ გასწიეს ასე შორეული მანძილიდან სამლოცველოს ასაგებად საჭირო დიდძალი მასალის მოსაზიდად. დავუბრუნდეთ სამლოცველოს არქიტექტურას – გალავნის კედლის სიმაღლე აქაც (შილდის სამლოცველოს მსგავსად), სავარაუდოდ, 1.5 მეტრი მაინც უნდა ყოფილიყო, რაზეც, მიგვანიშნებს ის, რომ სამლოცველოს ინტერიერში, კედლის ძირიდან, 2-2.5 მ-ის მანძილზე, წრიულ ზოლად, მრავლად არის მიმოფანტული ხელსაფქვავები; რომლებიც თავის დროზე კედლის თავზე, მის გასწვრივ უნდა ყოფილიყო დალაგებული. ტრადიციულ საკულტო ძეგლებზე, სამლოცველოს შიდა, გალავანსშიდა სივრცე, როგორც წესი, ხატისმსახურთა და მოწესეთა საურთიერთობო სივრცეა.

ნაზარლების სამოცველოს ინტერიერში, ნაყარი კედლის ქვების მიმართულებიდან გამომდინარე, აშკარად შეიმჩნევა, რომ სამლოცველოს კედლები გარედან (უფრო დასავლეთიდან) ფიზიკური ზემოქმედების – მოწოლის შედეგად არის ინტერიერში გადმოქცეული. სავარაუდოდ, კედელს, შიდა მხრიდან (როგორც შილდის სამლოცველოს) თახჩები უნდა ჰქონოდა დატანებული, სადაც შეწირული ნივთები ინახებოდა. ამაზე მიგვითითებს მასალის, განსაკუთრებით კი სამლოცველოს „განძის“ აღმოჩენა იატაკის დონეზე ოდნავ მაღლა, ინტერიერში, დასავლეთი კედლის ძირთან; რომელიც აქ, ამ კედლის დაქცევის შემდეგ უნდა იყოს ასე შეჯგუფულად ჩაწოლილ-ჩამარხული ჩამონგრეული ქვების ქვეშ. ნაზარლების სამლოცველოს, შემოსასვლელი აღმოსავლეთ მხრიდან აქვს და ისევე როგორც შილდაზე, აქაც სავარაუდოდ ხის კონსტრუქციით უნდა ყოფილიყო დახურული. კონსტრუქციის ნაშთები გვავარაუდებინებს, რომ ეს გახლდათ ერთგვარი „სასანთლე კოშკიც“ კი, რომელიც იდგა სამლოცველოს ღრმადნალისებრი, აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიმართული გალავნის შეასასვლელში, გალავნის კედლებს შორის და ქმნიდა ორ სივრცეს – სამლოცველოს ტერიტორიაზე შესასვლელს და გამოსასვლელს. გაწმენდის დროს, ქვებს შორის, რამდენიმე ადგილზე დაფიქსირდა ხის კვალი; რაც ნაგებობის კონსტრუქციაში ძელების გამოყენებაზე უნდა მიგვანიშნებდეს. თუმცა, კარიბჭის ზუსტი კონსტრუქციის დადგენა, სამწუხაროდ, ამჟამად ძალზე რთულია, იმის გამო, რომ, თანამედროვე ეპოქაში მასზე, კარტოგრაფებს გეოდეზიური პუნქტი აუგიათ; რამაც თითქმის ძირისძირობამდე დააზიანა არქეოლოგიური ძეგლის ეს მონაკვეთი. სავარაუდოდ, კარიბჭე ნაგებობას, აღმოსავლეთით, ამაღლებული თარო-ბაქანი უნდა ჰქონოდა, შესაბამისი სარიტუალო საქმიანობისთვის; რაზეც მის ჩრდილო კუთხეში, სამლოცველოს გალავნის კედელთან, იატაკის დონეზე ჭინჭილის და აზარფეშის მსგავსი ხელიანი სასმისის აღმოჩენა გვაფიქრებინებს. როგორც ცნობილია, აღმ. საქართველოს მთიანეთის ტრადიციული ეთნოგრაფიული ყოფიდან, „ხატისკარს“ ანუ კარიბჭის ამგვარ ბაქნებზე აწყობდნენ საგანგებო სარიტუალო სასმისებს (მაგ. „პიროფლიანთა“ სახელშესადებელ სასმისებს), შესაწირ ქადა-პურებს, საკადრისებს თუ სხვა სახის შესაწირის;

ნაზარლების სამლოცველოს ცენტრში განლაგებული უნდა ყოფილიყო, ოთხკუთხა საკურთხეველი (ტაბ. VIII), რომლის გაწმენდისას, ფილებქვეშ, გამოიკვეთა მცირე, რიყის ქვებით ნაშენი დაბალი შემოზღუდული სივრცის ფრაგმენტი, რომლის კუთხეშიც გამოვლინდა საქონლის კიდურის (სავარაუდოდ მარჯვენა) ძვალი კვირისთავით. აქვე აღმოჩნდა ბრინჯაოს 2 მცირე სადა ბეჭედი, მცირე ხვია, სარდიონის მძივი და მძივთაშორისი, რომბის ფორმის ბრინჯაოს ტიხარი; პატარა საკინძთან ერთად. სავარაუდოდ, ამ სათავსოს თავზე, ზემოდან დაფიქსირებული ფილებით გამართული უნდა ყოფილიყო სწორედ ეს „საკურთხეველი“, რომლის გამურული ფილებიც, ამჟამად, ცერადაა წასული სიღრემში და ნგრევის კვალს ატარებს. სწორედ აქ, ზედა ფილაზე, 2018-19 წლებში სამუშაოების დროს, დავაფიქსირეთ ირმის ქანდაკება, სარდიონის მძივის თვლებთან ერთად; ხოლო მისგან ოდნავ მოშორებით – საბეჭდავი (ტაბ. VIII). მიუხედავად იმისა, რომ ნაზარლების სამლოცველოს არქეოლოგიური შესწავლა ჯერ არ დასრულებულა, თავად ძეგლის და მის მიმდებარე ანალოგიური პერიოდის დასახლებათა ტოპოგრაფია (ასევე, ამ დასახლებებიდან მომდინარე ნივთიერი მასალა), გარკვეული ხასიათის წინასწარული დასკვნების გამოტანის საშუალებას მაინც იძლევა. მით უმეტეს, რომ ქართველ (და უცხოელ) მკვლევარებს, ბევრჯერ გამოუთქვამთ დასკვნები ამ მხარეში მცხოვრები უძველესი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური ისტორიისა და სულიერი კულტურის თაობაზე. არგუმენტირებულად აღუნიშნავთ და ეს უკვე გაზიარებულიცაა, რომ **დღევანდელი ქართველი ერი, მცირე აზიის უდიდესი კულტურის მქონე ძველი მკვიდრი ხალხების გენეტიკური და კულტურული მემკვიდრეა.** ამდენად, სრულიად მოსალოდნელიცაა, რომ ეს მემკვიდრეობითობა, მატერიალური კულტურის არტეფაქტებთან ერთად, სულიერ-კულტურულ მემკვიდრეობაშიც ასახულიყო.

* * *

დავუბრუნდეთ ნაზარლების სამლოცველოზე აღმოჩენილ განძს, რომელიც, თავის მხრივ წარმოადგენს ბრინჯაოს ნივთების (მის შემადგენობაში აღმოჩნდა აგრეთვე ერთი თიხის ტოლჩისებური სასმისი და მტკნარი წყლის მოლუსკის სადაფის ნიჟარაც) შეჯგუფულ ერთობლიობას , რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა: 1. ბრინჯაოს მახვილის იმიტაცია – 457 ცალი (!); 2. შედგენილტარიანი ტიპის ბრინჯაოს მახვილი (1 ც.); 3. შედგენილტარიანი სატევარი (1 ც.); 4. ორპირი აღმოსავლურკავკასიური ცული (1 ც.); 5. მინიატურული აღმოსავლურკავკასიური ცული (1 ც.); 6. ბრინჯაოს ნამგალი (1 ც.); 7. პირფართე დანა – „სამართებელი“ (შესაძლოა – შუბის სათიხარ-ბურნუკი?) (2 ც.); 8. შუბისპირები (14 ც.); 9. ბრინჯაოს „გულისფარი?“ (1 ც.) 10. დისკოსებრი ბრინჯაოს სამშვენისი (2 ც.). ჩამოთვლილი ნივთებიდან გვინდა განსაკუთრებით გავამახვილოთ ყურადღება იარაღის ორ სახეობაზე და ვეცადოთ განვსაზღვროთ მათი ფუნქციონალური დატვირთვა სამლოცველოს გარშემო შემოკრებილი სოციუმის ყოფაში. პირველი ეს გახლავთ მახვილის იმიტაციები და მეორე – სამართებლისმაგვარი ბრინჯაოს დანები (შესაძლოა შუბის ბოლო ბურნუკ-სათიხრები?). ამ სალოცავში დაფიქსირებულია საბრძოლო ხასიათის ნივთების შეწირვის ფაქტის თითქმის 800 წლოვანი დინამიკა. ეთნოგრაფიული ყოფიდან ცნობილია ასევე, რომ ხატებშივე ინახებოდა იარაღიც, რომლითაც ხატის სახელით იბრძოდნენ თემის საუკეთესო მეომრები; მტრის მოსაგერიებლ, თუ სხვა ხასიათის ბრძოლებში.

აქამდე, დაფიქსირებულია აღნიშნული იარაღის სულ ოთხი ცალი; აქედან ორი 2018 წელს სამლოცველოს დასავლეთ კედელთან გამოვლენილ ბრინჯაოს იარაღთა ერთგვარი „ხატის განძის“ შემადგენლობაში, ხოლო ორი, 2019 წელს გაწმენდილი სამლოცველოს ინტერიერის შიდა სივრცეში, სხვადასხვა ადგილზე, ასევე იატაკის დონეზე. იარაღის ამ ნაირსახეო

*/დასასრული გვ 7/*

/მეექვსე გვერდიდან/

ზამ, თავისი ორიგინალური ფორმიდან გამომდინარე, თავიდანვე მიიქცია ექსპედიციის ყურადღება; გასარკვევია მისი დანიშნულება. აღმოჩენილი იარაღის ცალების ზომები მერყეობს: სიგრძე 12-22, ხოლო განი – 7-10 სმ-ის ფარგლებში; არის ბრტყელი ფორმის, აქვს ერთნაჩვრეტიანი მოკლე ყუნწი; სავარაუდოდ, მოკლე ტარის დასაგებად. ორლესულია და აქვს განივად ამოღებული ფართე პირი, კიდეებში წაწვეტებული ბოლოებით.

სამლოცველოს ცენტრში გამოკვეთილ საკუთხევლის ფილაზე, რომელზეც, დღესაც, აშკარად შეიმჩნევა ცეცხლის კვალი (გამურულია) დაფიქსირდა ირმის მინიატურული სკულპტურა, რომელიც ძალზე ემსგავსება მცხეთაში (შიდა ქართლი), სამთავროს ველზე და ნარეკვავზე აღმოჩენილი ირმის მინიატურულ ბრინჯაოს ქანდაკებებს ძვ.წ.აღ. IX-VII ს. ცნობილია, რომ ქართული ფოლკლორული მონაცემების მიხედვით [იხ. ჩოლოყაშვილი რ., 2019], ირემი, საკულტო ცხოველია. ირმის მაგიურ უნარებზე, გადმოცემებს ვხვდებით მრავალ ზღაპარსა თუ თქმულებაში. ცნობილია, რომ საქართველოში, ირმის დაკვლა, ხატში, ღვთაების პირველხარისხოვან ზვარაკად ითვლებოდა; მაგ. მესხური ფოლკლორში გვაქვს საფერხულო სიმღერა (დღესაც სრულდება), რომლის მიხედვითაც, ვარძიის სალოცავს, ქართველი გმირები, სადიდებლად ირმებს სწირავენ. საინტერესოა, სამლოცველოზე აღმოჩენილი ზღაპრული ფრინველის, ფასკუნჯის მინიატურული ქანდაკებაც. ზღაპრული ფრინველის ეს მცირე ზომის (იხ. ფოტო ყდაზე) საკიდი, იმ კერამიკულ ჭურჭელში ინახებოდა, რომელიც სამლოცველოს ინტერიერში, დასავლეთ კედელთან აღმოჩნდა ხატისთვის შეწირულ ბრინჯაოს სხვა სამკაულებთან (საკიდები, ძეწკვები, ტანისამოსის სხვადასხვა ფორმის სამშვენისები, აბჯრის ქერცლები, სამაჯურები და სხვა). შეწირული ნივთებით სავსე ეს ქოცო ინტერიერში, გალავნის დასავლეთ კედელთან, 2018 წელს გამოვლენილი განძის გასწვრივ, გადმოქცეული კედლის ნაყარს ქვემოთ აღმოჩენილ მეორე ჭურჭელთან ერთად აღმოჩნდა, რომელიც ასევე ხატისთვის შეწირული სარდიონის მძივებით იყო სავსე.

კარგადაა ცნობილი, რომ ზღაპრული ფრინველი – ფაშგუნდი, არწივი, ბორა, ორბი, ქორი თუ სხვა მსგავსი ფრინველები, ზღაპრულ პერსონაჟებს (ჭაბუკ გმირებს) ხელს უმართავენ მიზნების მიღწევაში. ამოჰყავთ ისინი ქვესკნელიდან, ეხმარებიან მზეთუნახავთა მოტაცებაში და ზოგადად, მათი მშველელ-გადამრჩენელნი არიან... ამიტომ, სავსებით დასაშვებია, ნაზარლების სამლოცველოზე აღმოჩენილი ირმისა და ფასკუნჯის ქანდაკებები, უკავშირდებოდეს კიდეც ქართულ ხალხურ ეპოსში დადასტურებულ ირმისა და ფასკუნჯის სახეებს.

* * *

ვითვალისწინებთ რა, ზოგადად ნაზარლების წინარექალაქური დასახლების ერთიან კონტექსტს (მისი ზომები, თხემზე, ზედა გამაგრებულ ტერასაზე აღმოჩენილი სამლოცველო, ძირში არსებული სამაროვანი და ა.შ.), დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ნაზარლების ნამოსახლარზე გამოვლენილი სამლოცველო, იმ პერიოდისთვის (გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანა) გახლდათ აღნიშნულ მხარეში არსებული დიდი სამხედრო-თეოკრატიული გაერთიანების ცენტრი, რომლის გარშემოც ერთიანდებოდა საკმაოდ მოზრდილი და მძლავრი წინარეკლასობრივი ხასიათის სოციალური ორგანიზაცია. მიჩნეულია, რომ ძვ. წ-ის II ათასწლეულის მეორე ნახევარი და I ათასწლეულის დასაწყისი აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ტომთა ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ეტაპია. ესაა პერიოდი, როდესაც ამ მხარეში მწიფდებოდა წინამძღვრები რკინის მეტალურგიის განვითარებისათვის და საზოგადოების შიგნით ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცვლილებებს. გაზიარებულია ასევე, რომ ამ მხარის ისტორიული ცივილიზაცია, უეჭველად შექმნეს ადგილობრივმა, ავტოქტონმა ტომებმა, რომლებიც აქ ცხოვრობდნენ უკვე უძველეს ხანიდან. არქეოლოგიური მონაცემებით ამ მხარეში, ადამიანის პირველ ნაკვალევს ჯერ კიდევ პალეოლითის ხანებიდანვე ვხვდებით [ბუგიანიშვილი, თ., 1988]. მოსახლეობის მატება და ბინადარ სამოსახლოთა ძლიერი კერების აღმოცენება განსაკუთრებით ბრინჯაოს ხანიდან შეიმჩნევა [ფიცხელაური, კ., 1973]; ხოლო, სარწყავი მიწათმოქმედებისა და ინტენსიური მეურნეობის განვითარების საფუძველზე ეს მხარე, ადრეკლასობრივი საზოგადოების ჩასახვისთანავე, ძლიერი სამოსახლოებით დაიფინა. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ძვ. წ-ის II-I ათასწლეულების მიჯნაზე და უფრო გვიანაც იორ-ალაზნის ტერიტორიაზე ავტოქტონი ეთნიკური ჯგუფები წარმოადგენდნენ დომინირებულ ეთნოკულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალას. ამ ეთნიკურ ჯგუფებს შორის წამყვანი როლი კახებსა და კუხებს უნდა შეესრულებინათ. მეტად საყურადღებოა, რომ ძვ. წ-ის II-I ათასწლეულების მიჯნაზე, იორ-ალაზნის ტერიტორიაზე მკაფიოდ შეინიშნება მატერიალური კულტურის უწყვეტი განვითარება. იორ-ალაზნის ტერიტორიაზე არსებული არქეოლოგიური კულტურა, ძვ. წ-ის II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან „მძლავრ გარე ზემოქმედებას არ განიცდის; ყოველ შემთხვევაში ისეთს, რომ მას მისი მშვიდობიანი განვითარების გზა შეეწყვიტოს.“ როგორც ჩანს, ვერავითარმა შემოღწევამ ვერ მოსპო ძველი, ადგილობრივი ტომები, მათი კულტურა და ვერ შეცვალა ძველადვე შემუშავებული საზღვრები.

ნაზარლების ნამოსალარზე გამოვლენილი სამლოცველოს გარშემო შემოკრებილი თეოკრატიულ-კლასობრივ სოციუმში უკვე უნდა ჩასახულიყო ის პრინციპები, რომლებიც მოგვიანო ხანებში დაედო საფუძვლად ისეთი სატაძრო თემების ფორმირებას, რომლებიც კარგადაა შესწავლილი საისტორიო სამეცნიერო ლიტერატურაში. შეიძლება ვივარუდოთ, რომ ნაზარლების მცხოვრებთა სამეურნეო-კულტურული ტიპი ხასიათდებოდა მესქონლეობის უპირატესი წილით, ხოლო დიდნაურის მცხოვრებთათვის, მიწათმოქმედება და მარცვლეული კულტურების მოყვანა უპირატესი საქმიანობა უნდა ყოფილიყო. თავისთავად ეს ფაქტი უკვე მანიშნებელია აღნიშნული წინაკლასობრივი გაერთიანების (რადაც, ჩვენის აზრით სავსებით სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს შირაქის ზეგანზე გამოვლენილ გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის ნამოსახლართა ერთობლიობა) მოსახლეთა შორის შრომის დანაწილებისა და ვარაუდად, მათ შორის გარკვეული სასაქონლო გაცვლა-გამოცვლის არსებობაზე უნდა მიგვანიშნებდეს. ვფიქრობთ, რომ ამგვარ ვითარებასთან გვაქვს საქმე შირაქის ზეგანზე შესწავლილ ნამოსახლარებთან („ნაზარლები“, „დიდნაური“, „სამრეკლო“...) მიმართებაშიც, როდესაც შირაქის ზეგანზე გაშლილი ეს მსხვილი დასახლებები ერთი დიდი, ძირი სატაძრო დაბადასახლების გარეშემო ერთიანდებოდნენ და ქმნიდნენ ერთ სამეურნეო-კულტურულ ტერიტორიულ გაერთიანებას.

ნაზარლების სამლოცველოს აღმოჩენა და მისი საფუძვლიანი შესწავლა კიდევ იმითაა დიდმნიშვნელოვანი და აუცილებელი, რომ შეიძლება გამოიკვეთოს და დადგინდეს ის საზოგადოებრივ-სათემო და თეოკრატიული ურთიერთობების ფორმები, რომლებმაც საფუძველი დაუდო ამ მხარეში, ქრონოლოგიურად უფრო მოგვიანო ხანებში კარგად შეწავლილი ადრე ელინისტური და ელინისტური საზოგადოებრივი სატაძრო თემების შექმნა-ჩამოყალიბებას.

ნაზარლების სამლოცველო, როგორც ამაზე მიგვანიშნებს აქ განვითარებული ძლიერი ნგრევის კვალი, განადგურებული უნდა იყოს მტრის შემოსევის ან შესაძლო ძლიერი სტიქიური უბედურების (მიწისძვრის) შედეგად, რამაც გამოიწვია ამ რეგიონში, მოცემულ ქრონოლოგიურ პერიოდში, აქ მაცხოვრებელ ტომთა საზოგადოებრივი და ადრეკლასობრივი ურთიერთობების მკვეთრი დაქვეითება-დაუძლურება; ხოლო, როდესაც ქვეყანა უძლურდება, „ღმერთთა კუთვნილიც სუსტდება და აღარ უნდათ (მისი) პატივისცემა“ [ყაუხჩიშვილი თ., 1957; 124] – ამბობს ევრიპიდე.

**პაატა ბუხრაშვილი**

*პროფესორი, ილიაუნი*

# შეარჩიეთ მომენტი!

## გირჩევთ

ვთქვათ, თქვენთვის ცნობილი გახდა, რომ ადამიანი პატიოსანია, მოგვიანებით კი გაიგეთ, რომ იგი მეტად აგრესიული ყოფილა. ან პირიქით, ჯერ გაიგეთ, რომ მეტად აგრესიულია და მხოლოდ ამის მერე - რომ იგი პატიოსანია. როგორი შთაბეჭდილება შეგექმნათ ამ პიროვნებაზე - ერთნაირი თუ განსხვავებული? ანუ ახდენს რაიმე გავლენას შთაბეჭდილების ჩამოყალიბებაზე რა თანმიმდევრობით იქნა მოწოდებული ინფორმაცია და თუ ახდენს, რომელია მეტი გავლენის მქონე- პირველი თუ ბოლო?

ამ კითხვას გარკვეული პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. თუ მაგალითად, ადვოკატი ხარ, უნდა იცოდეთ მსაჯულებზე გავლენის მოსახდენად როდის სჯობია გამოხვიდეთ სიტყვით თქვენი კლიენტის დასაცავად - სასამართლო განხილვის დასაწყისში თუ ბოლოში? თუ ფიქრობთ, რომ თავში მიწოდებული ინფორმაცია მეტ გავლენას იქონიებს, ამაში თქვენ არ სცდებით. ბოლოში მიწოდებულ ინფორმაციას არ ექცევა სათანადო ყურადღება, რადგან ყურადღების საზოგადოდ რხევა და დროის მსვლელობაში დაქვეითება ახასიათებს. ასე რომ, ბოლო ინფორმაცია მეტწილად ყურადღების მიღმა რჩება, განსაკუთრებით, თუ იგი ადრე წარმოდგენილ ინფორმაციას არ უთავსდება.

მაგრამ ეფექტი, რომელსაც ახდენს პირველი ინფორმაცია, ზოგ შემთხვევაში შეიძლება შესუსტდეს. ამას აკეთებს, მაგალითად, თხოვნა, რომ მსმენელებმა თანაბარი ყურადღება მიაქციონ ინფორმაციას და გაფრთხილება, რომ მოგვიანებით საკითხზე მსჯელობა გაიმართება.

არის შემთხვევები, როცა ბოლო ინფორმაცია სჯობს პირველს. ეს ხდება მაშინ, როცა პირველი და ბოლო ინფორმაციის წარდგენას შორის დროის დიდი მონაკვეთია. მაგალითად, ამომრჩეველს უარყოფითი შთაბეჭდილება შეექმნა პრეზიდენტის კანდიდატზე, მისი პირველი სიტყვიდან, რომელიც მან წარმოთქვა, როდესაც კანდიდატად წამოაყენეს. მაგრამ მან შეიძლება უკუაგდოს ეს შთაბეჭდილება და დაელოდოს მის საბოლოო პოლიტიკურ სიტყვას, რომელიც უშუალოდ არჩევნების წინ კეთდება. თუ საბოლოო სიტყვა მოეწონება, სწორედ მას ექნება გადამწყვეტი გავლენა კანდიდატის შესახებ საბოლოო შთაბეჭდილების გამოტანაზე. ასე რომ, საწყისი და საბოლოო ინფორმაციების დროში დაშორებულობა მეტ მუხტს საბოლოო ინფორმაციას ანიჭებს.

ამიტომ, გირჩევთ, სასურველი პიროვნების საზოგადოებისადმი წარდგენის ანუ პრეზენტაციის დრო საგანგებოდ შეარჩიოთ.

***ბესო გიგოლაშვილი,***

ფსიქოლოგი




## 1945 WELI

○ ANTISANITARUL MDGOMAREOBASI IMYOFEBA WITELWYAROS RAIONIS BAZARI. YOVELI MXRIDAN AR ARIS SEMOKAVEBULI, AR ARIS CALKE GAMOYOFILI ADGILI PIRUTYVEBISTVIS, ARASAKMARISIA FARDULEBI, RIS GAMOC PRODUQTEBI GABINZUREBUL MIWAZE UWYVIAT. BAZARS ARA AQVS MOQMEDEBIS GANSAZRVRULI SAATI, AMITOM MISI DASUFTAVEBA SEUZLEBELI XDEBA. BAZARTAN AR IMYOFEBA SANAGVE YUTI DA SAPIRFARESO SAVALALO MDGOMAREOBASIA.

○ ZEMO QEDIS KOLMEURNEOBIS MDIVANI AL. SIFRASVILI GULISXMIEREBAS AR ICENS KEDLIS GAZETIS MIMART. AMASWINAT KEDLIS GAZETMA SAMARTLIANAD AMXILA KOLMEURNEOBIS YALTABANDI PARIKMAXERI. SEURACXYOFILMA PARIKMAXERMA IERISI MIITANA REDKOLEGIIS ERTERT WEVRZE DA GAZETIS GAMOMSVEBS SAXALXOD USVERI SITYVEBIT LANZRAVDA. IMIS MAGIER, ROM PARTIUL ORGANIZACIAS SERIOZULI ZOMEBI MIERO, REDKOLEGIIS GANCXADEBASAC AR MIAQCIA YURADREBA. ES INFORMACIA GASUL TVESI GAZET `AXALI SIRAQIS~ FURCLEBZE GAMOQVEYNDA, AXLA KI AMXANAGI SIFRASVILI GVATYOBINEBS, ROM KORESPONDENTIS SEURACXMYOFELI PARIKMAXERI SAIADOVI MOXSNILIA SAMUSAODAN.

○ DAMTAVRDA SIRNARIS TEATRIS GASTROLEBI WITELWYAROSI. CATAREBULI PIESEBIS MIXEDVIT SEIZLEBA DA VASKVNAT, ROM SIRNARIS TEATRIS KOLEQTIVI, DIREQTORISA DA SAMXATVRO XELMZRVANELIS MIXEIL IARALIS ENERGIULI MUSAOBIT, YOVELWLIURAD IZRDEBA DA MXATVRUL PRODUQCIAS YOVELWLIURAD AMARLEBS. TEATRMA GASTROLEBIS PERIODSI WITELWYAROEL MAYUREBELS 24 WARMODGENA MISCA. AQEDAN 2 MOSWAVLETATVIS DA 4 KOLMEURNETATVIS, ROMELZEC 7 000 MAYUREBELI DAESWRO. DADGMEBIDAN GAMOIRCEODA `XEVISBERI GOCA~, `YVARYVARE ATABAGI~ DA SXVA. MIUXEDAVAD IMISA, ROM SIRNARIS TEATRI WELS MEXUTED IMYOFEBODA WITELWYAROSI, MAYUREBELI KVLAV DIDI INTERESIT UYUREBDA ZVEL DADGMEBS `XANUMAS~, `JER DAIXOCNEN, MERE IQORWINES~, `KINTOS~ DA SXVA.

## 1962 WELI

○ WITELWYAROS SKOLA INTERNATIS MSENEBLEBMA GASUL WELS VER SEASRULES MSENEBLOBIS GEGMA, MAGRAM MAINC DIDI SAMUSAOEBI CATARDA. AM WELS KI MTLIANAD DAMTAVRDEBA MSENEBLOBA DA GAIXSNEBA SKOLA-INTERNATI.

○ EQVSI WELIWADIA, RAC DABA WITELWYAROS CENTRSI SVIDWLIANI MUSIKALURI SKOLA MUSAOBS. BEVRMA BAVSVMA GAMOAMJRAVNA MUSIKALURI MOMAVALI. AMJERAD 130 MOSWAVLEA, MAGRAM SKOLAS 7 SAMECADINO OTAXI AQVS, AQEDAN ERTI MEORE SARTULZEA. PIRVEL SARTULZE KI KORIDORSI ERTERT MCXOVREBS DAKAVEBULI AQVS ORI OTAXI, RAC DID UXERXULOBAS QMNIS. AMAS GARDA, SAKLASO OTAXEBI SESAKETEBELIA, KEDLEBI GAMONGREULIA, SEINISNEBA USUFTAOBA. AR AQVT RBILI INVENTARI, AR ARIS GAMOKRULI CNOBILI MUSIKOSEBIS FOTOEBI DA AR SUFTAVDEBA IATAKI. REDAQCIAM KULTURIS SAMSAXURIS XELMZRVANELTAN ERTAD DAATVALIERA DA PIROBA MIIRO, ROM ARNISNULI GAMOSWORDEBA.

○ SOFEL GAMARJVEBIS KULTSAXLIS SABILETO SALAROSTAN SEKREBILI AXALGAZRDEBI GACXAREBUL SAUBARSI IYVNEN. ISINI KAMATOBDNEN IMAZE, ROM DARBAZSI KINOSURATI GIND QARTUL ENAZE GAUSVIAT, GINDAC UCXOURZE, MAINC VERAVIN VERAFERS GAIGONEBS, RADGAN ISETI XMAURI DA IMDENI SEZAXILEBIA, ARAFERI ISMIS. AM WERILIS GAZETSI GAMOQVEYNEBIS SEMDEG RAIKULTGANYOFILEBIS GAMGE B. JANASVILI REDAQCIAS ATYOBINEBS, ROM KINOFILMEBIS MSVLELOBIS DROS SURATIS CUD XMOVANEBAS IWVEVS ADGILOBRIVI ELEQTROENERGIIS SISUSTE.

○ PURPRODUQTEBIS WITELWYAROS PUNQTIS DIREQCIA GAAKRITIKES, ROM ABANOS VER IYENEBEN DANISNULEBISAMEBR DA ABANOS SENOBA GADAAQCIES SAWYOBAD. PASUXAD DIREQTORI A. BARASVILI GVATYOBINEBS, ROM `ABANO AR MUSAOBS SAWIRO RAODENOBIS TEQNIKURI WYLIS UQONLOBIS GAMOISOBIT. UKVE DAVSVIT SAKITXI DABIS CENTRIDAN WYLIS XAZIS GAYVANIS SESAXEB~. KARGI IQNEBA DIREQCIAM MIARWIOS IMAS, ROM SAWIRO WYLIS MARAGI DROULAD SEIQMNAS DA KVIRASI OR DRES MAINC AMUSAON ABANO.

(STILI DACULIA)

**მოამზადა**

ილია მარტყოფლიშვილმა

## სარედაქციო ფოსტა

### რატომ მივეცი ხმა ქართულ ოცნებას?

მე, როგორც ერთმა რიგითმა ამომრჩეველმა 26 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნებზე ხმა მივეცი №41-ს, „ქართულ ოცნებას“.

ვეთაყვანები ჩვენი მთავრობის ლიდერებს: ირაკლი ღარიბაშვილს, ირაკლი კობახიძეს, კახა კალაძეს, მამუკა მდინარაძეს, შალვა პაპაუაშვილს, ირაკლი ქადაგიშვილს... ჩემს უსაყვარლეს ადამიანს „ქართული ოცნების“ საპატიო თავჯდომარეს ბატონ ბიძინა ივანიშვილს, იმიტომ რომ მათი მმართველობის პერიოდში ქვეყანაში უწყვეტი მშვიდობა შეგვინარჩუნეს და არ დაუშვეს ის, რაც დღეს უკრაინაში ხდება.

გულს მიხარებდა ბანერებზე განთავსებული მათი სლოგანი, ჩვენი ერთადერთი გზა არის მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით და კეთილდღეობით ევროპისკენ! წარმატებებს ვუსურვებ ჩვენს ქვეყანას!

**ნანა ჭიჭინაძე,**

საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის თავმჯდომარე.

---

უახლესი მეგობრები: ლამარა ჭუჭულაშვილი, ფიქრია ალიკოშვილი, ნაირა გორაშვილი, ანგელინა ღორაშვილი ოჯახებით მწუხარებას გამოთქვამენ

**ნაზი მოსაშვილის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ შვილის ილია ბიკაშვილის ოჯახს.

# დედოფლისწყაროს ცენტრალურმა პარკმა პირველ სტუმრებს უმასპინძლა

*დედოფლისწყაროს ახალ ცენტრალურ პარკში მუსიკალური ჯგუფის- ,,რეზო და ბავშვების“ კონცერტი გაიმართა, რომელსაც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე, ილია ბეგიაშვილი, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული, გიორგი ალადაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი, ნიკოლოზ ჯანიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი და ადგილობრივი მოსახლეობა დაესწრო.*

**ილია ბეგიაშვილი:** „ეს პარკი თავისის გრანდიოზულობით მართლაც გამორჩეულია არა მარტო კახეთში, არამედ მთელი საქართველოს მასშტაბით. ასეთი პარკი მარტო ორი თუ იქნება საქართველოში. ნამდვილად იმსახურებს დედოფლისწყარო ამ პარკს, თავისი ლამაზი და ნიჭიერი ხალხით. იმედი მაქვს, ეს სივრცე მალე გადაიქცევა ახალგაზრდები შეხვედრების ყველაზე საყვარელ ადგილად!“





**ნიკოლოზ ჯანიაშვილი,** *დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი:* „ეს პარკი ძალიან ლამაზია, მაგრამ დამთავრებული ჯერ არ არის. აქ მალე დამონტაჟდება უზარმაზარი ატრაქციონები, გასართობი სივრცე კიდევ უფრო კეთილმოეწყობა, სადაც ყველა თაობის ადამიანი დაისვენებს და გაერთობა. ამისთვის დიდი მადლობა ეკუთვნის ჩვენი რაიონის საამაყო შვილს ირაკლი ღარიბაშვილს. სულ მალე დაიწყება ე. წ. ქოჩების ტბის კეთილმოწყობის სამუშაოებიც და დედოფლისწყარო მართლაც გადაიქცევა ბევრი ქართველისთვის თუ ტურისტისთვის მიმზიდველ კერად“.

კონცერტის პარალელურად მოეწყო საბავშვო ღონისძიებები აკრობატების, მოსიარულე ორკესტრისა და დრამერების მონაწილეობით. იმავე დღეს ცენტრალური პარკის ახალ სპორტულ მოედანზე ჩატარდა ფეხბურთის მატჩი, რომელშიც ქალაქ დედოფლისწყაროს და სოფელ არხილოსკალოს გუნდები მონაწილეობდნენ. შეჯიბრი ანგარიშით 2:1 ქალაქ დედოფლისწყაროს გუნდის გამარჯვებით დასრულდა.





დედოფლისწყაროს ახალი რეკრეაციული სივრცე კახეთის რეგიონში თავისი მასშტაბურობით გამოირჩევა.

ქალაქის ცენტრალური პარკი 16 ჰექტარზე გაშენდა. მოეწყო საფეხმავლო და ველო ბილიკები, სპორტული და საბავშვო, გასართობი ინფრასტრუქტურა. ტერიტორიაზე განთავსდა ხელოვნური ტბა.

**პროექტი „განახლებული რეგიონების“ პროგრამის ფარგლებში, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განხორციელდა და მისი ჯამური ღირებულება 14 მილიონ ლარზე მეტია.**

**ინგა შიოლაშვილი**

## ულოცავენ!

### მარინე ცხვედიაშვილს!

ჩვენი თანამემამულე მარინე ცხვედიაშვილი რუსთავის საპატიო მოქალაქე, ევროპის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი, დოქტორი, აკადემიკოსი 17 ნოემბერს 65 წლის ხდება! საინტერესო ასაკია პოეტისათვის – ერთგვარი ოქროს ხანა, პროფესიული სიმწიფის პერიოდი, როდესაც ერთი შეხედვით, შემოქმედებითი ქარიშხლები ჩავლილია, საკუთარი შესაძლებლობების აღმოჩენის ეტაპი დასრულებული და საზოგადოებაში სახელიც და ადგილიც დამკვიდრებული. თითქოს მეტი რა უნდა ადამიანს, შრომითი ბიოგრაფია წარმატებული, წლების განმავლობაში იგი მუშაობდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ლექტორად! ბოლო 20 წელი არის საქართველოს მწერალთა კავშირის რუსთავისა და ქვემო ქართლის ორგანიზაციის თავმჯდომარე, პრემიებითა და ჯილდოებით დახუნძლული. მისი თითოეული ახალი ლექსი აღაფრთოვანებს მკითხველს, ამიტომაც არის მიმზიდველი მისი პროფესია. ყველაფერთან ერთად იგი სიკეთით სავსე, თავმდაბალი და უშურველი პიროვნებაა. ქართული ტრადიციული დიდი ოჯახის თავკაცის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, ცნობილი მხატვრის ჯემალ კუხალაშვილის მეუღლეა.

ქ-ნო მარინე! ჩვენი ასოციაციის საპატიო წევრს დიდი სიყვარულითა და პატივისცემით გილოცავთ საიუბილეო თარიღს!

პატივისცემით, ***დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაცია.***

## ულოცავენ!

### ჯანეტი ხატიაშვილს!

მიმდინარე წელს საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის დაარსებიდან 50 წელი შესრულდა, დედოფლისწყაროს მწიგნობართა რაიონული ორგანიოზაცია საქართველოს მასშტაბით საუკეთესო მწიგნობართა ასოციაციად დასახელდა, რაშიაც უდავოდ დიდი წვლილი ასოციაციის თითოეულ წევრს მიუძღვის.

ქალბატონო ჯანეტი, საინტერესო შრომითი საქმიანობის გზა განვლეთ, წინ არანაკლებ ტკბილი და სიკეთით სავსე დღეები გელით თქვენს წარმატებულ ოჯახთან ერთად. დიდი სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს, 31 ოქტომბერს!!!

*საუკეთესო სურვილებით და პატივისცემით,* **დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაცია.**

## იყიდება!

იყიდება დედოფლისწყაროში კერძო აგურის სახლი 170 მეტრკვადრატი, ბელეტაჟზე. მეტალოკრამიტის გადახურვით, მეტალოპლასტმასის ფანჯრებით. სამზარეულო, აბაზანა-ტუალეტი შიგნით და კაფელ-მეტლახით გაკეთებული, ჭერზე „გიფსოკარდონებით“, გათბობით, ცივი და ცხელი წყლით. ყველაფერი ახალი გარემონტებული. ეზო 800 მეტრკვადრატი ხეხილით, რკინის კარით. ფასი 34 700$ ტელ: 595 32 47 61

## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 04.11 | | სამშაბათი 05.11 | | ოთხშაბათი 06.11 | | ხუთშაბათი 07.11 | | პარასკევი 08.11 | | შაბათი 09.11 | | კვირა 10.11 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 10 ° | 1 ° | 11 ° | –1 ° | 8 ° | –1 ° | 8 ° | -2° | 9 ° | 0 ° | 9° | 1 ° | 10 ° | 0 ° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ილია მარტყოფლიშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი